# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 151 ჯარასკევი, 10 ივლისი 1909 წ. № 151

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ იხახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური — დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

---

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების ხნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—122

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს მინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთ 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—33.—7)

ექიმი ა. ს. ალადაშვილი ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ურუსოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—7)

ახლად გახსნილი ტფილისის კერძო სამკურნალო გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 696.

ი. გ. ფლოდროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ბ. ა. მოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

გ. ხ. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—104)

კაბინეტი კბილის საექიმო ა. ა. თათევოსოვი (ყოფილი თანაშემწე ლ. მტრეიხერისა) რაზიეზჟაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს.. საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—6)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახულიერო სასწავლებლის პირდაპირ (უ)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩასმა, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამბროლის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—190

### წმ. ნინოს ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოების საბჭო

აუწყებს ტფ. ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის მოწაფეთა მშობლებსა და აპეკუნებს, რომ ის მოსწავლენი, რომელთათვისაც 25 აგვისტოსთვის შეტანილი არ იქნება 1908—1909 სამოსწავლო წლის დარჩენილი ფული, სასწავლებლიდან დათხოვნილებად ჩაითვლებიან და მათ ვაკანსიებზე სხვები მიიღებიან. (3—6.—2)

### ჭიათურის ქალთა პროგიმნაზიაში

რომელშიაც სექტემბრიდან მესამე კლასიც იხსნება, მიიღებიან მოსწავლენი 25 აგვისტოდან ყველა კლასებში. (4—ფ.—4)

### შპალიერი ძმ. ტარნოპოლების ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

განყოფილება ტფილის.: გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა, ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (25—6. 16)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს ხადამოთით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ჯაბაშვილისა. (უ)

---

### ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ განთავისუფლდა ორი სტიპენდია ძმ. ზუბალაშვილებისა.

სტიპენდია მიეცემა უპრიცენტო სესხად რუსეთისა და საზღვარ-გარეთის დაბალ და საშუალო სპეციალსა და მაღალ სასწავლებელში მოსწავლე ღარიბ ქართველს, უფრო კი რუსეთის დაბალ, საშუალო და მაღალს სპეციალს სასწავლებელში მოსწავლეს ან ამგვარსავე ახლად შემსვლელს,—განურჩევლად სქესისა, წოდებისა და სარწმუნოებისა.

თხოვნები სტიპენდიისათვის უნდა გამოეგზავნოს წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობის სახელზე ტფილისში (Тифлисъ. Общество грамотности) არა უგვიანეს ამა ივლისის 31-ისა.

თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს: 1) სასწავლებელი (და მისი ფაკულტეტიც და სპეციალი განყოფილება), რომელშიაც სტიპენდიის მთხოვნელი სწავლობს, აგრეთვე კლასი ან კურსი, რომელზედაც იგი არის; 2) სასწავლებელი, რომელშიაც მთხოვნელს მიუღია მოსამზადებელი სწავლა და ის სასწავლებელი და მისი ფაკულტეტიც ან სპეციალი განყოფილება, რომელშიაც შესვლას აპირებს, და 3) ოჯახური და ნივთიერი მდგომარეობა მთხოვნელისა.

თხოვნასთან წარმოდგენილი უნდა იქმნეს: 1) მოწმობა სასწავლებლის მთავრობისა, სადაც მთხოვნელი სწავლობს, 2) მოწმობა იმ სასწავლებლისა, რომელშიაც მთხოვნელს მოსამზადებელი სწავლა მიუღია, თუ იგი ახლა შედის დაბალ და საშუალო სპეციალს სასწავლებელში ან მაღალს სასწავლებელში. (3—3)

---

ექიმ ვ. ლამბაშიძის

### სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—1)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ხ. 107)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში 1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—13)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ზაკავკაზიეს" მე-122 ნომერში დაიბეჭდა წერილი ამ გაზეთის რედაქტორის თავ. გ. ი. ამირაჯიბისა. წერილი შეეხებოდა თავ. გიორგი ოთარის ძეს ამილახვარს. როგორც იცით, გაზეთებში ბევრი რამ იბეჭდება და ისეც ბევრს ლაპარაკობენ თავ. გიორგი ამილახვრის, როგორც მემამულის, მოქმედებათა შესახებ. ეხლა თავ. ამირეჯიბი თავ. ამილახვრის დავალებით, აცხადებს, რომ ეს ამბები სულ ტყუილია და ამის დასამტკიცებლად ვიწვევ ყველას, ვისაც რამე საბუთი აქვს ჩემ წინააღმდეგ, სამედიატორო სამართალშიო. ამასთან თავ. ამილახვარი აცხადებს, თუ ერთი კვირის განმავლობაში სასამედიატორო სასამართლოზე თანხმობას არავინ განაცხადებს, საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ ჩვენ წინააღმდეგ ხმას ბოროტ-გამზრახველნი და შანტაჟისტები ავრცელებენო.

თავ. ამილახვრის შესახებ ამ ბოლო დროს ჩვენ გაზეთში ორი წერილი დაიბეჭდა. ერთი მე-136 ნომერში (21 ივნისი), მეორე—მე-145 ნომერში. ამ წერილებში არც ლანძღვა იყო თავ. ამილახვრისა, არც გინება და არც სხვა რამ ამისთანა. ჩამოთვლილი იყო მარტო ის, რაც თავ. ამილახვარმა ჩაიდინა ეგრედ წოდებულ საპაშოში. პირველ წერილის ბოლოში კორესპონდენტი სწერდა:

აქ მოყვანილი მაგალითები, ჩვენის აზრით, საკმაო ნათელსა ჰფენს თ-დ ამილახვრის სასტიკ მოქმედებას საპაშოში და თუ ან ბ-ნი მაჩაბელი, ან თვით ამილახვარი მეტ საბუთს მოითხოვენ, ჩვენ მზადა ვართ გაზეთის საშუალებით გავცეთ პასუხი.

ამ საქმის გამორკვევას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ. განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ბევრი თავად-აზნაური აწიოკდა გლეხთაგან. მაშინ აწიოკებულებმა განგაში ასტეხეს—სოფელში აღარ გვედგომებაო. სოფელი გვდევნისო და სხვ. ჩვენ გვჯერა, რომ აწიოკებულთა შორის ბევრი უდანაშაულოდ და უსამართლოდ დაისაჯა, მაგრამ განმეორება ისეთ მოქმედებისა, რომელმაც გლეხთა შურისძიება გამოიწვია მოძრაობის დროს, ჩვენ დიდ შეცდომად და დანაშაულობად მიგვაჩნია და ამიტომ საჭიროდ ვცანით გამოგვემზეურებინა მოქმედება თ-დ ამილახვრისა, რომელსაც, როგორც თითონ ამბობს, თურმე, იმნაირივე შურისძიება ამოქმედებს, როგორიც განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ამოქმედებდა გლეხებს. თუ გლეხთა სტიქიური მოძრაობა გასაგები იყო, ისეთი შეგნებულ კაცის მოქმედება, როგორიც თ-დი ამილახვარია, გაუგებარი და ამასთან ყოვლად შეუწყნარებელია.

ამ შენიშვნიდანა სჩანს, რომ ჩვენ არაფერი სხვა განზრახვა არა გვქონია და გვაქვს, გარდა სიმართლის გამორკვევისა. საზოგადოდ უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენ თავ. ამილახვრისა არც ცნობა გვაქვს, არც მასთან რაიმე საქმე გვქონია და მაშასადამე, არავითარი პირადი ინტერესი არ გვალაპარაკებს. კორესპონდენტს, რომელმაც ხსენებული წერილები გამოგვიგზავნა, ჩვენ სავსებით ვენდობით და გვჯერა, რომ ყველაფერი, რაც თავ. ამილახვარზე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, სიმართლეა. როგორცა ვთქვით, ეს წერილი დაიბეჭდა 21 ივნისს და თუმცა ჩვენი კორესპონდენტი სწერდა, თუ ვინმე მოისურვებს, მზადა ვართ მეტი საბუთები მოვიყვანო და გაზეთის საშუალებით გავცე პასუხიო, მაგრამ არც თვითონ თავ. ამილახვარს, არც მის დამცველსა და რწმუნებულს თავ. ამირაჯიბს და არც სხვა ვისმეს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ეხლა აცხადებენ, ვინც ამილახვარზე ამბობს რასმეს— ბოროტ - განმზრახველი და შანტაჟისტიაო და თუ ეს არა გჯერათ, თავ. ამილახვრის ხარჯით მიბრძანდით თავ. ამილახვართან, მიიყვანეთ მედიატორეები და იქ დაგიმტკიცებთ ყველაფერსაო.

ჩვენ თავ. ამილახვრის განსამართლებას ვერ შეუდგებით. ეს ჩვენ საქმეს არ შეადგენს. და, სწორე მოგეხსენოთ, არც დრო გვაქვს ამისთვის. ჩვენ გაზეთის მუშაკნი ვართ და ვბეჭდავთ და ვაქვეყნებთ გაზეთის ფურცლებზე, რამდენადაც შეგვიძლიან, დღევანდელ ცხოვრების ავსა და კარგს. ასე მოვიქეცით თავ. ამილახვრის შესახებაც. ფიქრობთ, რომ სიმართლეს ვუღალატეთ—გვიბოძეთ თქვენი საბუთები, დავბეჭდავთ და პასუხსაც გავცემთ. სამედიატორო სასამართლოების გამოწყობას-კი ვერ შეუდგებით. არც ერთი ნომერი გაზეთისა არ არის, რომ ვინმეს ავ-კაცობასა და ბოროტებაზე არ იყოს ლაპარაკი. წარმოიდგინეთ—ყველამ სამედიატორო სამართალში გაგვიწვია, სად წავა საქმე!

დასასრულ, მაინც ვიტყვით შემდეგს: გაჰყვეს სამედიატორო სამართალში თავ. ამილახვარს, ვისაც ესა

## შეთანხმების იმედი

### 1903 წლიდან 1909 წლამდე.

3.*)

საქართველოში უკვე მომზადებული იყო განხეთქილების ნიადაგი ავტონომიის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. ავტონომიის მომხრე აქ „ცნობის ფურცელი" იყო, მისი მოწინააღმდეგე „კვალი"— „მოგზაური". მარტო ეს გარემოება წინდაწინვე ხდიდა შეტაკების და არა შეთანხმების აუცილებლობას. „დასელებმა" „ცნობის ფურცლისა" არ იწამეს და შეისმინეს, რომ ავტონომიის საკითხში ზომა, გონიერება და სამართლიანობა დაეცვათ. ეხლა, როდესაც რამდენიმე წლიწადი დავშორდით ყოველსავე ამას და როდესაც ცხოვრების დამარცხებამ ბევრი რამ შეგვძინა, შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვნებათა ღელვას და ფუქსავატ გრძნობიერებათა ფართეშ ხშირად, ძალიან ხშირად თავდაჭერილობის და წინდახედულობის ადგილი უჭირავს. აქ აზრი გრძნობის ალშია გახვეული, აქ ყოველისავე სიტყვას ნაპერწკლის ძალა აქვს და რადგან ჩვენი ცხოვრების ეკლიანი გზა ადვილად მოსაკიდებელ მასალით, ბურბუშელებით არის მოფენილი, ადვილად წარმოიდგენთ რატომ არის, რომ მთელი ქართული სამწერლო ასპარეზი ასე უცნაურად არის გაბრუებული რაღაც კორიანტელით, ასე არაჩვეულებრივად არის გაჩირაღდნებული რაღაც მჭვარტლიან სინათლით, რომელიც, ეჭვს გარეშეა, აზრის სინათლე არ არის, არამედ აპრიალებული ბურბუშელას სინათლეა.

„ცნობის ფურცელი"—„კვალის" დავა, როგორც მოგახსენეთ, დიდი ხნის ამბავია. ამ ამბავს ნუღარ გავიხსენებთ ამ ჟამად. სხვა სამწუხარო ფაქტების სიაც მეტად გრძელია, რომ ის ძველი ანგარიშებიც არ გამოვიტანოთ ეხლა სუფრაზე. ჩვენ ეხლა გვაინტერესებს მხოლოდ ის, რაც ავტონომიას ეხება. აქაც ბევრია სავაგლახო. აქაც თუ გნებავთ ისევ ის ძველი კამათია მხოლოდ ვრცელი, გადაშლილ პოლიტიკურ ასპარეზზე გადატანილი, აქაც ცხოვრების საფუძვლიანად შესწავლის ნაცვლად, ცხოვრების ზედა-პირზე გაცხარებული კინკლაობაა, აქაც საქართველოს წარსული ნიშანშია ამოღებული, აქაც ბაქიაობაა ხალხისადმი მტერ-მოყვარეობაზე, აქაც იმავ ჭვარტლიან ალში გახვეული, ალვირ აშვებული ვნებათა მეჯლისია! ნეტარება ჩვენ, რომ არ დაგვკარგვია ჯერ-ჯერობით ამგვარ მოლხენის უნარი!

მეჯლისის ტოლუმბაშობა აქ, ეჭვს გარეშეა, ჯერ (დასაწყისში) ბ-ნ ყვირილელს, მერე ბ-ნ ფილიპე მახარაძეს ეკუთვნის. ბ-ნ ყვირილელს ჯერ კიდევ 1903 წელს აღარ აკმაყოფილებდა არც „გაცვეთილი პატრიოტიზმი", არც „სამშობლოს" და ქართულ ენის ყვირილი. მისი იდეალი საკაცობრიო იდეალია, ის ამ იდეალით სცოცხლობს. ამით საზრდოობს, ამით იმედოვნებს. აწმყო მას ეველივით ეზიზღება, წარსული ჰირივით ეჯავრება. ის იცქირება ბრწყინვალე მომავალისკენ[1]). რატომ ადარებთ ჩვენს აწმყოს „გველს" და ჩვენს წარსულს „ჭირს" ბ-ნო ტოლუმბაშო, ეკითხებოდნენ სამწერლო მეჯლისზე მოწვეული, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული სტუმრები? რატომ და, იმიტომ, რომ **„მთელ ამ წარსულში არც ერთხელ** არ ჩაფენია ხალხს გულში ბედნიერების და მშვიდობიანობის სხივი... **მთელ ამ წარსულში არც ერთხელ** ხალხის უმრავლესობას არ მოუხსნია ქედიდან მძიმე ტვირთი სხვისი ბატონობისაო" (იქვე). ამ მწარე სიტყვების მსმენელს უნებლიეთ იპყრობდა ტრაგიკულ აუცილებლობის შიშის თავ-ზარი. ბ-ნი ყვირილელი კი თავმოწონებული მჭექავ სიტყვების ეფექტით თითქოს ბოდიშის მოხდით დასძენდა: „...მას, ვისაც ხალხი „რეალურ სიყვარულით" უყვარს, თვით ეს რეალური სიყვარული უფლებას არ აძლევს და არ ავალებს კიდევაც სთქვას ის, რაც ჩვენ ვთქვით? დიახ, ჩვენ გვძულს ეს..." (იქვე).

სტუმრები დაიშალნენ, წავიდ-წამოვიდნენ, ზოგი გულ დაწყვეტილი („მთელ ამ წარსულში არც ერთხელ!.."). ზოგი რაღაც იმედით აღფრთოვანებული („საკაცობრიო იდეალი!..").

ყველა ამაში საყურადღებო ის არის, რომ მხოლოდ ახლა სჩანს ნათლად და გარკვევით, როგორ მზადდებოდა ის ყალბი აზროვნება, რომელიც საფუძვლად დაედო რამდენიმე წლის შემდეგ ავტონომიის წინააღმდეგ ატეხილ დრტვინვას და დევნას. დღესაც ბ-ნი ანი, მაგალითად, იმასვე ამბობს—ჩვენი წარსული ჯოჯოხეთია, მან არა მოგვცა რა, არავითარი მემკვიდრეობა არ დაგვიტოვაო. ყოველივე, რაცა გვაქვს ეხლა შევიძინეთ, ეროვნულ იდეალის შემუშავებაც ჩვენი დროის საქმეა, ამიტომ შორს ჩვენგან ავტონომია, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრივობის აღდგენის მომასწავებელია, გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ოლქებრივ თვითმმართველობას, რომელიც ერთად-ერთი ფორმაა ხალხის განსავითარებლად და „ნაციონალისტების" ასალაგმავადაო. დიაღ, ერთი და იგივე ფილოსოფია, რომლის სიყალბის გამომჟღავნებას ჩვენ არც ერთი და ორი წერილი ვუძღვენით. აქ საინტერესოა მხოლოდ ის, თუ როგორა ხსნის ბ-ნი ყვირილელი ჩვენი ეროვნების აღორძინების ევოლიუციას.

ჩვენს წინაშე მუდამ ჟამს ატუზული იქმნება ის საიდუმლოებით მოცული გარემოება, რომ ეროვნულად ქვეყნილი ერი, როგორიცაა ქართველი ერი, თითქმის თავსაც არ იცხელებს და მის შეგნებას არ ეკარება აზრი ეროვნულ უფლებათა დაცვისა. ბ-ნი ანი და მისნი მიმყოლნი ამ გარემოებას იმითი ხსნიან, რომ ჩვენი ხალხი ინტერნაციონალისტია შეგნებულად და ამიტომ არ იღებს ხელში ნაციონალურ დროშას. ბ-ნი ყვირილელიც თითქმის ამასვე ჰფიქრობს, მხოლოდ მას ჰგონია, რომ ინტერნაციონალურ მისწრაფებასთან ერთად ჩვენ ხალხს უჭირავს ხელში ეროვნული დროშაც. საკითხი იმდენად მწვავეა, რომ ღირსია ყურადღებისა. ბ-ნი ყვირილელი სწერს: „ჩვენი ქვეყნის პატარა ნავი ისტორიულმა მსვლელობამ სხვა უფრო დაწინაურებულ ქვეყნის დიდ გემს მიაბა, ასე რომ ძველ საზოგადოებრივ წესწყობილების ბოლო მომღებ ძალით გაჩნდა გარეგანი ძალა. გლეხების განთავისუფლება ჩვენში უცხო ერის და არა ჩვენი ბურჟუაზიის საქმე იყო... მეორე მხრით, ახლად აღორძინებული ვაჭრობა და მრეწველობა, რომლებმაც აამოძრავა ჩვენი ქვეყნის დადუმებული ძარღვები, უცხო ტომის ბურჟუაზიის, განსაკუთრებით სომხების ხელში იმყოფებოდა და უმთავრესად ახლაც იმყოფება. ამგვარად შეიქმნა მატერიალური პირობები ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის და შეიქმნა არა ჩვენი ბურჟუაზიის ხელით, იშვა ჩვენშიაც ეროვნული იდეა, **მაგრამ მან სრულებით სხვა კლასი ნახა თავის დასაცველად** (კურსივი ჩვენია) და ცხოვრებაში შეტანათ, ვიდრე ევროპაში... ერთის სიტყვით, იმ პროგრესიულ როლს, რომელიც ევროპაში ეროვნულმა ბურჟუაზიამ შეასრულა, ჩვენში ჯერ უცხო ერის ბურჟუაზია ასრულებდა, შემდეგ კი ჩვენი ერის სულ სხვა ჯგუფებმა მოჰკიდა ხელი. ეს უკანასკნელი შეიქმნა ეროვნების ერთად ერთი მატარებელი, იმ ეროვნების, რომელიც ცხოვრების განახლებაში მდგომარეობს და მშობელ ენაზე ხალხში ახალი განათლების შეტანაშიო".[2])

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ბ-ნ ყვირილელს იმაში, რომ სოციალ-პოლიტიკურ პირობების მიხედვით ჩვენში ხალხი და არა ბურჟუაზია უნდა გამოსულიყო ეროვნების დამცველად, არ ვეთანხმებით მხოლოდ იმაში, ვითომ ჩვენში მართლაც მომხდარიყოს ეს საქმე და, ხალხი მართლაც გამოსულიყოს ეროვნების მცველად. აი ეს გახლავთ თავი და თავი „სამტკრევი საგანი; „ცნობის ფურცლის", „საქართველოს" და სოციალისტ-ფედერალისტების აზრი და მისწრაფება სწორედ აქა ტრიალებდა. მათის შეგნებით ხალხს უნდა ეკისრა ეროვნების დაცვის საქმე. მაგრამ ხალხმა არ შეისმინა რჩევა. დიდი ძალა, ენერგია, შეუდარებელი თავგანწირულობა გამოიჩინა მან ბრძოლის ველზე, ხოლო აქ ეროვნულ საკითხს ადგილი არა ჰქონდა, აქ სოციალური და რუსულ-პოლიტიკური კონსტიტუციონალიზმი ჰფარავს ეროვნულს; ეროვნული დაჩრდილულია და სასაცილოდაც იგდებული. გვეტყვიან, და განა სოციალური ბრძოლა, ბრძოლა უკეთეს მატერიალურ პირობების დამყარებისათვის იგივე

*) იხ. „დროება", N 150.

[1]) „კვალი", N 30 1903 წ.

[2]) „კვალი", N 15. 1903 წ.

სურს, შეუდგეს საქმის ვითარების გამორკვევას, ვისაც ეს აინტერესებს, და ჩვენ მზადა ვართ, თუ-კი მოისურვებენ, წარვუდგინოთ საბუთები იმის დასამტკიცებლად, რასაც ჩვენ გაზეთში ვამბობდით და ვწერდით, ერთი პირობა-კი უსათუოდ საჭიროა: სასამართლო ან სხვა რამ, რაც ამ საქმის გამორკვევას შეუდგება, ყოვლად მიუდგომელი და პირუთვნელი უნდა იყოს.

# ბრძოლა თავისუფლებისათვის სპარსეთში

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ივლისი

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თეირნიდან ატყობინებენ: 7 ივლისს შაჰი სულთან-ახმედა სალტანეტაბადიდან თეირანში გადავიდა. შაჰს წინ მიუძღოდა 2,000 ცხენოსანი რევოლიუციონერი, უკან 2,000 ბახტიარი და ცხენოსანი ჯარი. შაჰმა მინისტრები სასახლეში მიიღო.

რეიტერის სააგენტოს შირაზიდან ატყობინებენ: ქალაქში ისევ არეულობაა. ინგლისის ელჩმა მოითხოვა გუბერნატორ ასაფედ-დოულეს გადაყენება, რომელმაც ვერ შესძლო წესიერების აღდგენა. ქერმანშახში არეულობამ იკლო. რევოლიუციონერებმა რუსეთის ელჩს სთხოვეს, წინადადება მიეცით ზალადურ-ჯენგს, რომ მან თავის გავლენით ისარგებლოს და ჯარს იარაღი დააყრევინოსო. ზალადურ-ჯენგი ამ ჟამად რუსეთის საელჩოში ზის, იგი სილახორის პოლკის უფროსად იყო.

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**სად იცხოვრებს მამედ-ალი-შაჰი.**

მამედ-ალი-შაჰს მოუნდომებია რუსეთში გადასახლება. ამიტომ პეტერბურგში ამ ჟამად თათბირი აქვთ გამართული, თუ რომელ ქალაქში მისცენ ბინა სპარსეთის ყეენად ნამყოფს. ამბობენ, რუსეთის მთავრობას ქალ. კალუგა აურჩია ყეენის ბინადო. ამ ქალაქში არის სასახლე, აშენებული ყირიმის უკანასკნელ ხანისთვის ყირიმ-გირეისთვის. შემდეგ ამავე სასახლეში ცხოვრობდა დაღისტნის იმამი შამილი თავის სახლობით. მაგრამ თითონ შაჰს, როგორც ისმის, მოუსურვებია ყირიმში ცხოვრება.

ყეენად ნამყოფს ენზელიში მიიყვანენ, იქიდან ბაქოზე გაატარებენ და პირდაპირ ქალ. კალუგაში წაიყვანენ.

**როდის შეიკრიბება ახალი მეჯლისი.**

სპარსეთის საელჩომ პეტერბურგში გამოაცხადა, რომ სპარსეთის ახალი მეჯლისი თვე ნახევრის შემდეგ შეიკრიბებაო.

**ჯარის ფიცი.**

6 ივლისს, თეირანის მთელმა მეციხოვნე ჯარმა ფიცი მიიღო კონსტიტუციის ერთგულებაზე.

**რეაქციონერების გაქცევა.**

რევოლიუციონერების გამარჯვების უმალ რეაქციონერებმა უცხო სახელმწიფოთა საელჩოებს შეაფარეს თავი. მაგრამ მათ მაინც არ ასცდება გასამართლება: ახალი მეჯლისი უთუოდ სამართალში მისცემს მათ.

რუსეთის საელჩოში დაიმალნენ უმთავრესი რეაქციონერები: ემირ-ბაჰადურ ჯენგი, მოფახამი და სხვები და აგრეთვე რუსის ოფიცრები ინსტრუქტორები.

ფოსტისა და ტელეგრაფის უფროსად ნამყოფი მუხბერ-დოულე, რომელმაც მოაწყო კერძო წერილების გახსნა და წაკითხვა და სხვა ცუდი საქმეები, დაიმალა ინგლისის საელჩოში.

**ახალი ინსტრუქტორები.**

სპარსეთის დროებითი მთავრობა აპირებს ინგლისელების და ფრანგების მოწვევას ინსტრუქტორებად ადმინისტრატიულ დაწესებულებებისათვის.

**რევოლიუციონერების ახალი გამარჯვება.**

როგორც დეპეშებიდან ვიცით, ქალ. არდებილი უკანასკნელ ხანამდე რეაქციონერების ხელში იყო. იქაური რეაქციონერი გუბერნატორი რაშიდ-ელ-მულკი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ადგილობრივ რევოლიუციონერებს. მოთმინებიდან გამოსულმა რევოლიუციონერებმა ალყა შემოარტყეს არდებილის ციხეს და 24 საათი ვადა მისცეს გუბერნატორს, რომ იარაღი დაეყარა. რაკი გუბერნატორმა არ შეასრულა ეს მოთხოვნილება, რევოლიუციონერებმა იერიში მიიტანეს და მედგარ ბრძოლის შემდეგ არდებილის ციხე აიღეს. გუბერნატორი რაშიდ-ელ-მულკი დაიმალა რუსეთის საკონსულოში. რევოლიუციონერები საზოგადოთ წესიერებას იცავენ ქალაქში. არდებილი მდებარეობს რუსეთის საზღვარს ახლო.

**ყეენი მამედ-ალი შეწუხებულია.**

„კასპი“ იუწყება: „მამედ-ალი წამ და უწუმ იბარებს რუსეთის რწმუნებულს საბლინს და თავის ბედზე ეთათბირება. ყეენად ნამყოფი ძლიერ შეწუხებულია“.

**პარიზში მყოფ სპარსელების სიხარული.**

რევოლიუციონერების გამარჯვებამ და თეირანის აღებამ ძალზე გაახარა პარიზში მყოფი სპარსელები. მათ კლუბში დიდი აღტაცება სუფევს; ყველანი ერთმანეთს ულოცავენ დიდ გამარჯვებას.

გახარებულნი არიან აგრეთვე პარიზში მყოფი ახალგაზდა ოსმალები და ოსმალელი დელეგატები. ესენი დარწმუნებულნი არიან, რომ ამას იქით სპარსეთს დაუდგება ახალი ბედნიერი ხანაო.

**იზმაილ-ხანის აზრი.**

ადერბეიჯანის ენჯუმენის წარმომადგენელმა ლონდონში იზმაილ-ხანმა შემდეგი წერილი დაბეჭდა ინგლისურ გაზეთებში: „სპარსეთის კონსტიტუციონურმა პარტიამ, რომელსაც მხარს უჭერდა მთელი სპარსეთის ხალხი, ბრწყინვალედ გაიმარჯვა. უცხოელთა სიცოცხლის და ქონების დაცვით, სპარსელმა კონსტიტუციონალისტებმა დაუმტკიცეს მთელს ქვეყნიერობას, რომ რუსის ჯარს არ ვითარი საბუთი არა აქვს სპარსეთში დარჩეს.

**პრესის აზრი სპარსეთის რევოლიუციაზე.**

ფრანგული გაზ. „ტან“-ი სწერს: „მამედ ალი-შაჰის ტახტიდან გადაგდება არავის ეწყინება. იგი ყველას ატყუებდა და ბოლოს თითონვე გაება თავის სიცრუეში. სასურველია, რომ რუსის ჯარმა ამას იქით მხარი დაუჭიროს შაჰს ხალხის წინაღმდეგ. დასასრულ, გაზეთი აქებს სპარსელ რევოლიუციონერებს, რომლებმაც ლიახოვის ყაზახებსაც აჯობეს და გამარჯვების შემდეგ ზომიერება და თავდაჭერილობა გამოიჩინეს.

საზოგადოდ ფრანგული პრესა, მიმართულების განურჩევლად, ერთხმად ამბობს, რომ შაჰის დამარცხება აუცილებელი იყო, რადგან მან უცხოელები მოიწვია დასახმარებლადაო.

გერმანული პრესა დიდ ყურადღებას აქცევს თეირანის ამბებს და ურჩევს გერმანიის დიპლომატიას, ამას იქით უფრო ბეჯითად ადევნეთ თვალყური სპარსეთის საქმეებსო. გერმანელებს ეშინიან, ვაი თუ სპარსეთი ინგლისმა თავის კოლონიად გადაქციოსო, ინგლისელი დიპლომატები მეგობარს რუსეთსაც მშვენივრად გააცურებენ ყინულზეო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: მამედ-ალი შაჰის ტახტიდან გადაგდება მოასწავებს რუს შოვინისტების პოლიტიკის დამარცხებასო. ამ შოვინისტებს, რომლებსაც გაზ. „ნოვოვრემია“ მეთაურობს, უხაროდათ, რომ სპარსეთის არეულობას ბოლო არ ელებაო.

„ფოსიშე ცაიტუნგ“-ი ჰფიქრობს, რომ ინგლისსა და რუსეთს შორის ამას იქით დიდი ბრძოლა დაიწყება სპარსეთშიო.

ავსტრიული პრესა აღნიშნავს სპარსეთის რევოლიუციის სახელოვან გამარჯვებას და დასძენს, რომ ამას იქით სპარსელები მთელ თავიანთ ძალას მოახმარებენ უცხოელთა გავლენისგან განთავისუფლებასო.

რუსული პროგრესიული პრესა ერთხმად ურჩევს რუსეთის მთავრობას სპარსეთიდან დაუყოვნებლივ ჯარის გამოყვანას. მხოლოდ ამით შესძლებს რუსეთი ხელახლად მოიპოვოს სპარსეთის ერის ნდობა და აღადგინოს წინანდელი ალებ-მიცემობა ამ მეზობელ სახელმწიფოსთანაო.

**ერთი წლის წინად.**

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი სწერს: „სწორედ ერთის წლის წინად მეჯლისის განადგურების შემდეგ, მამედ-ალი-შაჰმა მიმიღო თავის სასახლეში, ბაღიშაჰში. შაჰმა მითხრა: „მე გულწრფელად მჯერა ემირ ჯენგ-ბაგადურის სიტყვები, რომ სპარსელის ხალხს არავითარი თავისუფლება არ ჰსურს, რომ იგი მხოლოდ თავისი შაჰს ენდობაო.

შაჰს ეშინოდა პოლკოვნიკ ლიახოვისა, რომელსაც თითქმის ყველაფერს უგონებდა.

როდესაც მეჯლისის განადგურების შემდეგ შაჰმა პოლკოვნიკი ლიახოვი დაინახა, შემდეგი უთხრა:

— მადლობელი ვარ. თქვენ გაამაგრეთ ჩემი შერყეული ტახტი. ამას იქით დავიწყებ მეფობას.

შაჰმა ამასთანავე უბოძა ლიახოვს გენერლის ჩინი და სარდლის ხარისხი.

## დეპეშები

(პიტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ივლისი

**საზღვარ-გარედ.**

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. დეპუტატი დელკასე სასტიკად ჰკიცხავს წინანდელ სამინისტროს საზღვაო პოლიტიკას. დელკასე მთავრობას ფულის ფლანგვას აბრალებს, მთავრობაო, სთქვა მან, გემების აშენების გეგმას ყოველ წუთს სცვლიდა, გემებისთვის ისეთ უვარგის ქვაბებს ყიდულობდა, რომ მეორე დღესვე გადასაყრელები იყვნენ და ეს ტყუილა-უბრალოდ დიდ ხარჯს იწვევდაო. დელკასეს სიტყვით მთავრობამ თავისი მოვალეობა არ შეასრულა, არ მიიღო ზომები, რომ ისეთი ამბავი აღარ მომხდარიყო და გამეორებულიყო, როგორიც ჯავშნიან გემ „იენა“-ს მოუვიდაო. დელკასემ სთქვა, სანამ გემების ასაგებად საჭირო თანხას მივცემდეთ გარანტია მოვიკითხოთო. კლემანსომ მკაცრად უპასუხა დელკასეს. მან სთქვა: იმ პირს, რომელმაც თავის პოლიტიკით ალჟესირის დამცირებამდე მიიყვანა საფრანგეთი, განა უფლება აქვს, რომ ეხლანდელ მთავრობას რაიმე უკიჟინოსო? დელკასემ კლემანსოს მოაგონა მისი წარსული მოქმედება, მიუთითა იმ გარემოებაზე თუ როგორ სდევნიდა ფურიეს, შემდეგ დელკასემ სთქვა, გარეშე პოლიტიკის მინისტრობის დროს სხვანაირად ვერ ვმოქმედებდიო. შეუდგნენ კენჭის ყრას. პალატამ ხმის უმრავლესობით (216 ხმით წინააღმდეგ 176 ხმისა) უარჰყო ჟურნალის მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა, რომლითაც მთავრობას ნდობა უნდა გამოსცხადებოდა. კლემანსო და სხვა მინისტრები დეპუტატთა პალატიდან წავიდნენ.

ფალიერმა მიიღო სამინისტროს თხოვნა, რომლითაც მინისტრები თანამდებობიდან გადადგომას თხოულობდნენ.

**ათინა.** შესდგა ახალი სამინისტრო. სამინისტროს შედგენილობა: მინისტრ-პრეზიდენტი და ფინანსთა მინისტრი — რალლი, გარეშე საქმეთა — ზაერასი, შინაგან საქმეთა — სტრატოსი, საზღვაო — მიალისი, სამხედრო — პოლკოვნიკი მანუსოგლე სნაკისი, იუსტიციისა — დელიანისი, საერო განათლების — გეროსტეპულოსი.

**ბუენოს-აირესი.** არგენტინის რესპუბლიკის მთავრობამ ბოლივიის ელჩს დრამატა დაუბრუნა და წინადადება მისცა, არგენტინა 24 საათის განმავლობაში მიატოვეო. ამას გარდა მთავრობამ თავის ბოლივიის ელჩს უბრძანა დაბრუნდეს არგენტინაში. დიპლომატიურ კავშირის შეწყვეტის მიზეზი შემდეგია: ამ რამდენიმე ხნის წინად ბოლივია და პერუ ერთ საკითხში ვერ შეთანხმდნენ. საქმის გადაწყვეტა მიანდეს არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტს. ბოლივიის მთავრობამ არ მიიღო არგენტინის პრეზიდენტის გადაწყვეტილება. ამას გარდა ბოლივიის პრეზიდენტმა ცუდად მოიხსენია არგენტინის პრეზიდენტი.

**მალტა.** სატრანსპორტო გემი „რამზესი“ გარეშია. ეს გემი კუნძულ კრეტიდან ინგლისის რაზმს წაიყვანს სამშობლოში. კრეტისაკენ წავიდა გემი „დუნკანი“. დუნკანი კრეტის წყლებში დარჩება და ინგლისის რაზმის მაგიერობას გასწევს.

**მადრიდი.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ 7 ივლისს მელილიაში სასტიკი ომი მოხდაო. ომი დაწყებულა საღამოს 6 საათზე და მეორე დღის დილამდე გაგრძელებულა. ესპანელებს დიდი ზარალი მოსვლიათ.

---

ეროვნულ საქმისთვის ბრძოლა არ არის? რა თქმა უნდა, ეს არის **სოციალური** მხარე ეროვნულ პრობლემისა და მისი **პოლიტიკური** შინაარსი კი გამოიხატება ეროვნულ-პოლიტიკურ დაწესებულებათა აღიარების საჭიროებაში. ჩვენ ხალხს **შეგნებულად** არ წამოუყენებია მოთხოვნა ამ გვარ დაწესებულებათა შემოღების საჭიროებისა. ვამბობთ, შეგნებულად იმიტომ, რომ შეუგნებლად თავის მოქმედების დროს იგი ხშირად იმას ითხოვდა, რასაც თეორიულად უარ-ჰყოფდა და არ იწყნარებდა. მაგრამ ამის შესახებ შემდეგში ვილაპარაკოთ. ესლა კი უნდა ვთქვათ, რომ სწორედ აქ იწყება თეორიული უთანხმოება ავტონომისტთა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის. ბ-ნი ყვირილელი ყველა ამას სწერდა 1903 წელს. 1905 წელს კი ბევრი რამ მოხდა იმისთანა, რის საშუალებითაც შეგვიძლიან დღეს უფრო სამართლიანი დიაგნოზი შევიმუშაოთ ჩვენი ცხოვრების ვითარების შესახებ.

ქართულმა პრესსამ პოლიტიკურ პრესსის ენით ბევრად უფრო ადრე დაიწყო ლაპარაკი, ვიდრე ამისი ნებართვა იყო ზევიდან. 1904 წ. უკვე იხსენიებენ ავტონომიას. 1905 წლის დასაწყისიდანვე ხელჩართული ბრძოლაა ავტონომიის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. „ცნობის ფურცელი“ დინჯად, დალაგებულად და გონივრულად იწყებს ლაპარაკს ჩვენი ცხოვრების საჭიროებებზე. განი, გ. რ., კალამი და სხვანი აჩერებენ ხალხის ყურადღებას ჩვენი ცხოვრების ძირითად საჭიროებაზე — ავტონომიაზე. გაზეთი ბევრსა სწერს და დიდ მასალას აწოდებს მკითხველს ამ საგნის გამოსარკვევად. საბუთიანი წერილები იბეჭდება კანადასა, ავსტრალიასა და შვეიცარიასა და შეერთებულ შტატების შესახებ. გაზეთი დემოკრატიულ ავტონომიის მომხრეა, ამასთანავე იგი ზრუნავს სხვა ერებთა დამოკიდებულების გამტკიცებას და გაუმჯობესობას. ფედერაცია იმ საგანთაგანია, რომლის შესახებაც ბევრს ლაპარაკობს გაზეთი. გზა და გზა არკვევს იმასაც, თუ რა არის პროტექტორატი, პირადი უნია, რეალური უნია, კავშირი სახელმწიფოთა (კონფედერაცია) და ფედერაცია. „ფედერაციაში ყველაზე უფრო შეთანხმებულია დამოუკიდებლობა და ერთობა, ამბობს გაზეთი. ერობის განვითარებისათვის საჭიროა ერთიც, მეორეც[3]) მაგრამ ფედერაციის დაარსების წინ უნდა უძღოდეს ეროვნულ ავტონომიების დაარსება. „ერთობა ერთა შორის დამყარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერები იქნებიან ყველანი ერთნაირად თავისუფალნი, თანასწორნი, იქნებიან აღჭურვილნი ერთნაირის უფლებითო[4])“. „რა არის ჩვენი ავტონომია? ეს არის საუკეთესო დემოკრატიული, ხალხური წესწყობილება, რომელიც კი შესაძლებელია დღევანდელ პირობებში. ჩვენი ავტონომია არის თვითმმართველობა, თვითმმართველობის პრინციპს აღსრულება არა მარტო სიტყვით, არამედ მისი განხორციელება საქმით. ჩვენ ვთხოულობთ, რომ ხალხი თვითონ თავის თავის მმართველიაო[5])“ ყველა ამის წინააღმდეგ რა ითქმის! საუბედუროდ, ბევრი რამ ითქვა, ისიც იმისთანა რომ, რაც არ უნდა ეთქვათ. მოპირდაპირებმა ავტონომიურ მოძრაობის შესაფერხებლად ავტონომიის შესახებ იწყეს ბრუდე აზრების გავრცელება. ამას ჩვენ პოლემიკის ეშხიანობით არ ვამბობთ. ეს უტყუარი ფაქტია, რომ პოლიტიკურად მოუმწიფებელ საზოგადოებაში სოციალ-დემოკრატებმა არ მოინდომეს წესიერ და პრინციპიალურ კამათის გამართვა. ავტონომიის შესახებ წამოაყენეს შემდეგი ბრალდებანი: „ნაციონალისტებს“ უნდათ საქართველოს სამეფოს აღდგენა და ბატონ-ყმობის დაბრუნება; ავტონომია უნდა შემოავლონ სადამოქნო კედლებით, რათა ხელი შეუწყონ ეროვნულ ბურჟუაზიის ხალხის ზურგზე გამაგრებას; ავტონომია მუშათა პარტიის დაჰქსაქსავს და ერთ ერს აამხედრებს მეორეზე. ამ ბრალდებაში მარტო ორ უკანასკნელ საკითხს არა აქვს ცილის-წამების ელფერი, აქ შეიძლება კამათი, რადგან საგანი გამორკვეული არ იყო. მაგრამ ყოველი დანარჩენი საწინააღმდეგო საბუთი პირდაპირ გამოგონილია პოლემიკის ქარ-ცეცხლში გახვეულ პუბლიცისტებს მიერ. მაგრამ რისა სჯობია ვილაპარაკოთ თვით სოც.-დემოკრატი მწერლები. რაც დაწერილა, იმას ვეღარავინ წაშლის. გადაშალეთ გაზეთი „მოგზაური“ და დაიწყეთ კითხვა ფ. მახარაძის ს.-დ.-ს და სხვა წერილები.

[3]) «ცნ. ფურც.», N 2745, 1905.

[4]) ibid. № 2745.

[5]) „ეროვნული თვითმმართველობა“, გვ. 32, კალამის წერილი. (ამ წიგნაკში «ცნ. ფურცლიდან» ამოღებული წერილებია მოთავსებული).

„მოგზაური“ ბატონ-ყმობის დაბრუნების განზრახვის შესახებ ლაპარაკს ვერა ჰბედავს[6]). ეს საგანი უფრო ხშირად სამიტინგო თემად ხდებოდა ხოლმე. მაგრამ გაზეთი ავტონომიას ჩვეულებრივად სახელმწიფოს უწოდებს და არასოდეს არა ხსნის, თუ რა გვარი სახელმწიფოა ეს ავტონომია. მოუმზადებელი მკითხველი კი ამ სახელმწიფოს სამეფოდა სთვლის, მით უმეტესად, რომ „მოგზაურის“ განმარტებით ავტონომისტები ვითომ სადამოქნო კედლების აშენებასაც ეტრფიალებიან. „ქართველი მუშა თუ გაჭირვებაშია, ამბობს დაცინვით გაზეთი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არა გვაქვს ქართული სახელმწიფო. ამიტომ ქართველი მუშა ერთის მხრივ და ქართველი მემამულე და ბურჟუა-კაპიტალისტები მეორეს მხრივ უნდა შეერთდნენ... და მოიპოვონ ავტონომია, შექმნან ქართული სახელმწიფო[7]). ხომ ჰხედავთ ავტონომია ქართული სახელმწიფო — და ავტორი განზრახ სტოვებს ამ სიტყვებს განუმარტავად, გინდ თამარ მეფის დროინდელი სამეფო იგულისხმე, გინდ ბოლგარია-სერბიასავით მსგავსი სამეფო. გარდა ამისა, „ეროვნული ავტონომია“ ნიშნავს უწინარეს ყოვლისა ერთი ერის მეორისაგან ჩამოშორებას და ამით მათი ერთი მეორისკენ დაპირდაპირებას... ბურჟუაზია შემოფარგლავს თავის „სამშობლოს“ მაღალ სადამოქნო კედლებით... ბურჟუაზიისათვის ეროვნული ავტონომია არის... ავტონომია თავის ერში ბატონობის, ავტონომია თავის ხალხის უკონკურენტოთ, საკუთრათ ყვლეფის (ასპარეზი[8])“. შეიძლება ეს ასედაც იყოს. მაგრამ იმ ავტონომიის შესახებ რაღას იტყვით, რომელსაც ს.-ფედერალისტები ითხოვენ: სწორედ იმ ავტონომიაზე მოგახსენებთ, მოგიგებენ ამაზე. ვიცით, ვინც ბრძანდებიან ეს ვაჟბატონები: „ფარდა აიხადა. ნაციონალისტების ნამდვილი გულის პასუხი ყველასთვის აშკარად, თვალსაჩინოდ გამომჟღავნდა“[9]). „ჩვენი ქართველი ავტონომისტები მზად არიან ხალხს უღალატონ, გაყიდონ ის, ოღონდ ტერიტორიალ-ეროვნული პრინციპი ნუ შეილახება[10])“. „კარგად ესმის ხალხს, რომ ავტონომია კავკასიაში, სადაც მრავალი სხვა და სხვა ერებია ერთმანეთში არეული, მათთვის საზარალოა, რომ ეს ავტონომია მოასწავებს ერთი ერის მეორეზე გაბატონებას, შუღლსა და მტრობას, უკეთ რომ ვთქვათ, კაცთა მკვლელობასო[11]). მაგრამ ავტონომიის წინააღმდეგ მარქსისტებს სხვა ხასიათის საბუთებიც მოჰყავთ. ამ საქმეში განსაკუთრებულ სიფიცხეს ბ-ნი ფ. მახარაძე იჩენს. „დღევანდელი სახელმწიფოები თავისი საზღვრებით კაპიტალისტურ წარმოების ნაყოფია, და მუშა ხალხი არასოდეს არა თუ არ შეუწყობს ხელს დღევანდელ სახელმწიფოების გამაგრებას, არამედ ყოველთვის ეცდება, რომ დღევანდელი სახელმწიფოები მთელ თავიანთ ციხე-სიმაგრეებით და გარშემორტყმული ზღუდეებით, საზღვრების სახით, დაინგრეს. აი ასეთ დროს ნაციონალისტები გაიძახიან ავტონომიის შემოღებაზეო“.[12]) გვესმის, ასეთ დროს იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ გუჩკოვებს მოუმატოთ რუსეთის საპარლამენტო ტრიბუნა. ალბად ამ ტრიბუნიდან დაინგრევა დღევანდელი სახელმწიფოების საზღვრები! ვთქვათ ეს ასეა, მაგრამ ეროვნული საკითხი?.. რა გაწუხებთ, ყური მიგდეთ: „როცა შეერთდებიან ერთი მხრივ თითოეული ერის ყველა მიზეზი და მეორე მხრივ ყველა ერების მუშები ყველა მჩაგვრელების წინააღმდეგ და დაამხობენ დღევანდელ ბურჟუაზიულ წესწყობილებას, ბოლოს მოუღებენ კერძო საკუთრებას და დაქირავებულ შრომას, ე. ი. როცა ბოლო მოეღება დღევანდელ სოციალურ განხეთქილებას, მაშინ საბოლოოდ გადასწყდება ეროვნული კითხვაცო“. (იქვე). გმადლობთ წყალობისთვის! მაგრამ იმ დრომდე რა ვქნათ, ბატონო ჩვენო. ნუ გაგვირისხდებით, შეგვეწიოს წმინდა გიორგის მადლი იმ დრომდე რა გავაწყოთ?.. იმდ რომდე?! დამფუძნებელი კრება, იყო მკვახე პასუხი! პოლიტიკურ წინდახედულობის მოკლებული, „მოგზაური“ მაშინ ჯერ კიდევ არა გრძნობდა, რომ დამფუძნებელ კრების მოთხოვნის უკან უკვე იდგნენ შეიარაღებული გუჩკოვ-მარკოვები, რომელნიც განაგებენ დღეს რუსეთის ბედს. ჩვენ დავინახავთ ქვემოდ, რომ სოციალ-დემოკრატები კიდევ ორი-სამი წლის განმავლობაში იმავ ნიადაგზე იდგებიან, ხოლო მერე დადგება დრო, როდესაც ისინი ჩაფიქრდებიან, ჩაუკვირდებიან საგანს და თითქმის სინანულის ფიქრებსაც მიეცემიან!

[6]) „მოგზაური“ N 11. 1905 წ.

[7]) ამ მხრივ როგორც ვნახეთ, „ქართველ ნაციონალისტების“ ავტორი გაცილებით მეტ კადნიერებას იჩენს.

[8]) ibid. № 15.

[9]) ibid. № 17.

[10]) ibid. 23.

[11]) ibid. № 26.

[11]) ibid. № 21.

„ცნობის ფურცლის“ მდგომარეობა ადვილი არ იყო. პრინციპიალურ კამათთან ერთად საჭირო იყო მოპირდაპირეთა მოგება არა პრინციპიალურ ნიადაგზედაც. მაგრამ რა უნდა სთქვა იქ, სადაც სამეფო სიზმარშიაც არ მოგსიზმრებია, სამეფოს აღდგენის სურვილს კი გწამებენ. რა უნდა ილაპარაკო იქ, სადაც ბატონყმობის მოტრფიალეთ გსახავენ მაშინ, როდესაც თქვენი სურვილი საზოგადოების ძირიან გარდაქმნისაკენ მიისწრაფის. ამიტომ თავი დავანებოთ ყველა ამას, ნულარ გამოუდგებით იმას, თუ რა უპასუხა გაზეთმა იმაზე, რაზედაც პასუხის გაცემა არც კი ღირდა. მივაქციოთ ყურადღება სერიოზულ საბუთებს, რომელიც წამოყენებულ იყო ავტონომიის წინააღმდეგ და რომელთაც გაზეთი კვალ და კვალ არღვევდა.

ავტონომიის დამყარებას მუშათა კლასის დაქსაქსვა მოჰყვება და კლასთა ბრძოლის შესუსტება. გაზეთი უპასუხებს: „გერმანიაში პროლეტარიატის შეერთებას სხვა და სხვა სახელმწიფოების ავტონომიურმა თვით-

**ბერლინი.** საღამოს გაზეთები იხილავენ კლემანსოს სამინისტროს გადაყენების საკითხს. გაზეთების სიტყვით, კლემანსოს ბევრი რამ გაუკეთებია საფრანგეთის გარეშე მდგომარეობის გასამტკიცებლად. გაზეთები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ საფრანგეთში ამ უკანასკნელ დროს გერმანიას კარგის თვალით დაუწყეს ყურებათ. ძალიან საეჭვოა, რომ ეს პოლიტიკა გამოიცვალოს, თუნდაც გარეშე საქმეთა მინისტრად ისევ დელკასე დაინიშნოს, რაიც მოსალოდნელი არ არისო. ასეა თუ ისე გერმანია მშვიდობიანად შეეგებება დელკასეს დანიშვნასო. დასასრულ გაზეთები აღნიშნავენ, რომ კლემანსო საფრანგეთის ერთი გამოჩენილი და ნიჭიერი მოღვაწე იყოვო.

**ვენა.** პრაგის ანტიმილიტარისტთა პროცესი ოცდა ორი დღის გარჩევის შემდეგ პროკურორის და ვექილების სიტყვებით დამთავრდა. განაჩენს ათი დღის შემდეგ გამოაცხადებენ.

### რ უ ს ე თ ი

**პოლტავა.** სოფელ ბერეზნიაკში დაიწვა 137 სახლი. ქონება ვერ გადაარჩინეს.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 69, გარდაიცვალა 35, ავად არის 841 კაცი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** თავად-აზნაურობამ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლებლად აირჩია თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლი ფონ-კრონი და ნიჟნი-ნოვგოროდის სამაზრო წინამძღოლი ოსტაფიევი.

**შადრინსკი.** ეს მეორე დღეა, რაც ქალაქი დოლმატოვი იწვის. დაიწვა 150 სახლი. დაიღუპა სამი კაცი.

# კიდევ პროვოკატორი

**გარტინგის წერილი.**

გაზეთ „პრუს. კორესპონ.“-ში დაბეჭდილია წერილი, რომელიც გარტინგს ამ რამდენსამე ხნის წინად მიუწერია საიდუმლო პოლიციის აგენტ გერტიკისთვის. გარტინგი ჟენევაში მოქმედებდა, იგი სოც.-დემოკრატების წრეში იყო და ამავე დროს პოლიციის აგენტობასაც ასრულებდა. რუს ემიგრანტებს გაუგიათ ეს და საამხანაგო სამართალში მიუციათ. მას, სხვათა შორის, აღმოსჩენია შემდეგი წერილი: „მე მინდა მალე გნახოთ სოციალისტ-რევოლიუციონერად. სოციალისტ-რევოლიუციონერები უფრო მეტ მანეობასა და მოქმედებას იჩენენ, ვიდრე სოციალ-დემოკრატები და ამიტომ იქ უფრო ფართო ასპარეზი გექნებათ. ამას გარდა, სოციალ-დემოკრატებს შორის ძალიან უმნიშვნელო როლს თამაშობთ. თუ ვერ მოახერხებთ სოციალისტ-რევოლიუციონერებში შესვლას, იმდენი უნარი მაინც გამოიჩინეთ, რომ სოციალ-დემოკრატების ცენტრალურ ორგანიზაციაში მოჰხვდეთ. რადგან პარიზში უფრო მოსახერხებელია სოციალისტ-რევოლიუციონერების წრეში შესვლა, ამიტომ პარიზში გადმოდით. მოიფიქრეთ ყველაფერი კარგად და შემატყობინეთ, შესძლებთ თუ არა ყველა ამას. თუ ეს მოსახერხებელი არ არის, მაშინ ბოლშევიკებთან დაიჭირეთ საქმე და უსათუოდ რომელსამე ჯგუფში ჩაეწერეთ, თავისუფალ მოქალაქედ ნუ დარჩებით. ეცადეთ, რაც შეიძლება დაუახლოვდეთ სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციას, რომელიც, როგორც სჩანს, მალე დაიწყებს მოქმედებას. როგორც ეტყობა, ბოლშევიკები აღარ დაახურდავებენ იმ 500 მანეთიანებს, რომელიც ტფილისიდან გაიტაცეს. თქვენი წერილებიდან არა სჩანს, რომ თქვენ სოციალ-დემოკრატების ცენტრალურ ორგანიზაციასთან დაახლოვებული იყოთ, თქვენ კი სულ მარწმუნებთ, ძალიან ახლო ვდგევარო. ასეა თუ ისე, საჭიროა მნახოთ. ხომ არ შეგიძლიანთ ჩემთან ორი-სამი დღით ჩამოხვიდეთ. მხოლოდ თქვენ დას თან ნუ წამოიყვანთ. რა თქმა უნდა, ამისთვის ფულს გამოგიგზავნით ჯამაგირს გარეშე. ვუცდი პასუხს. პეტროვსკი“. პეტროვსკი გარტინგის ფსევდონიმია. გარტინგი ამ ჟამად ბრიუსელში სცხოვრობს. რევოლიუციონერები მას თვალყურს ადევნებენ. (სლოვო.)

**ლერუას ნალაპარაკევი.**

ლერუა რუსეთის საზღვარ-გარეთის საიდუმლო პოლიციის აგენტად იყო. მას „მატენის“ თანამშრომელისთვის შემდეგი უთქვამს: მე შემიძლიან დავამტკიცო, რომ რუსეთის საზღვარ-გარეთის პოლიციას „შავი კაბინეტი“ ჰქონდა. წერილების ყიდვა ან მოპარვა პოლიციის უფროსების ბრძანებით ხდებოდა. ამასვე სჩადიოდა გარტინგი. რუსეთის საიდუმლო პოლიციაში პარიზს თხუთმეტი კაცი მუშაობს. აგენტებს ბრძანებას ბინტი აძლევდა, გარტინგი კი არსადა სჩანდა ხოლმე. ჩვენ მოვალენი ვიყავით რევოლიუციონერებისთვის თვალყური გვედევნებინა და მათ შესახებ ყოველნაირი ცნობა შეგვეკრიბა. როდესაც რომელიმე რევოლიუციონერი რუსეთში წასვლას დააპირებდა და ამას გავიგებდით, ერთი აგენტი რუსეთის საზღვრამდის გაჰყვებოდა და იქ რევოლიუციონერებს ჟანდარმები აპატიმრებდნენ. ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ ბრძანება მოვიდოდა, რევოლიუციონერს ხელს ნუ ახლებთ, დაე შიდა რუსეთში წავიდესო. ამ შემთხვევაში ამათ თვალყურის სადევნებლად პეტერბურგიდან მოდიოდნენ აგენტები“. ლერუას „მატენის“ თანამშრომლისთვის ორი წერილი გადაუცია. ეს წერილები ეკუთვნის ბინტს და მიწერილია ლერუასთან. ერთ წერილში, სხვათა შორის, სწერია: „რუბანოვიჩი (რევოლიუციონერია) ბევრს დადის და თქვენ კი ჯერ ვერაფერი ვერ გააკეთეთ, რაიც ძალიან მაკვირვებსო“ და სხვა. ამასთან ბინტი ლერუას ატყობინებს, რომ პოლიციის სადგომი საელჩოშიაო. (რუსკ. ვედ.)

**გარტინგი ბელგიაში.**

გარტინგი ბელგიაში პირველად წასულა ამ თხუთმეტი წლის წინად. იქ შეურთავს არისტოკრატიულ ოჯახის ქალი მაგდალინა პირლო. გარტინგის ჩასვლისათანავე ქალაქ ლიეჟში (სადაც იგი დასახლდა) ზედი-ზედ რამდენიმე კაცის მოკვლა განუზრახავთ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, პროვოკატორულის აზრით. ყველაფერი საიდუმლო პოლიციის აგენტმა კიპრიან იაგოლკოვსკიმ მოახდინა, რომელიც ლიეჟში ბარონ უნგერ-ფონ-შტერნბერგის სახელით სცხოვრობდა. ამ პროვოკაციის ისტორია მოკლედ ასეთია: 1894 წელს იანვარს ლიეჟში ჩამოვიდა უცნობი, რომელიც თავისთავს ბარონ უნგერნ-ფონ-შტერნბერგს უწოდებდა. იგი მოსწავლე ახალგაზრდობას დაუახლოვდა და თავი მათ ემიგრანტად და ტერორისტად გააცნო. მალე სტუდენტებმა ცუდის თვალით დაუწყეს ყურება. „ბარონმა“ ამის შემდეგ თავის მოქმედება ანარქისტებში გადაიტანა. ანარქისტებმა სიხარულით მიიღეს და მალე მან დიდი გავლენაც მოიპოვა. ანარქისტები უმთავრესად ახალგაზრდა ბელგიელ და გერმანელ მუშებისაგან შესდგებოდნენ. რაკი გავლენა მოიპოვა, „ბარონი“ მოქმედებასაც შეუდგა. იმის ფულით ანარქისტებმა შეიძინეს დინამიტი, დაიქირავეს სახლი და ყუმბარების კეთებას შეუდგნენ. ამავე დროს „ბარონი“ ანარქისტების სახელით სწერდა მოწოდებებს და სხვა და სხვა პირებს შესაშინებლად წერილებს უგზავნიდა. მალე ლიეჟში რამდენიმე კაცს ყუმბარა ესროლეს. მთელი ბელგიის პოლიცია ფეხზე დადგა და, გარდა „ბარონისა“, ყველა ანარქისტი დააპატიმრა. ბელგიის პოლიციამ გაიგო, რომ ყველაფერი ბარონ უნგერნ-ფონ-შტერნბერგის საქმე იყო. გაიგო ისიც, რომ „ბარონი“ რუსეთის აგენტი იყო და ამიტომ ნებართვას ელოდა, რომ დაეპატიმრებინათ, მაგრამ როდესაც ნებართვა მიიღეს, „ბარონი“ სადღაც გაჰქრა. შემთხვევით „ბარონი“ სერბიაში დააპატიმრეს და რუსეთის მთავრობის მოთხოვნით პეტერბურგში გაჰგზავნეს. აქ მისი საქმის გამოძიებას შეუდგნენ და მალე.... გაანთავისუფლეს. 1897 წელს „ბარონი“. იგივე კიპრიან იაგოლკოვსკი, ხელმეორედ წავიდა ბელგიაში. აქ იგი იცნეს და სადღაც გაჰქრა. როგორც ეხლა ბელგიის გაზეთებმა გამოარკვიეს, „ბარონი“ გეკელმან-ლანდეზენ-გარტინგ-პეტროვსკის განკარგულებით მოქმედებდა.

**ბელგიის პრესა პატარა გარტინგების შესახებ.**

„რეჩის“ სიტყვით, ბელგიის ლიბერალური და პროგრესიული პრესსა თხოულობს, რომ ბელგიის მთავრობამ ამის შემდეგ დახმარება აღარ გაუწიოს რუსეთის აგენტებსო. „გაზეტის“ სიტყვით, ბელგიის დიდი ქალაქები პატარა გარტინგებით და აზეფებით არის თურმე სავსე, ეს პროვოკატორები. შურით შეჰყურებენ დიდ პროვოკატორების წარმატებას და ჯილდოებს. სხვა გაზეთების სიტყვით, ეს პატარა პროვოკატორები ძალიან დააღონა გარტინგის საქმის გამოაშკარავებამ, ეშინიანთ, რომ გარტინგის საქმის გამო მათაც არ მოჰხვდეთ.

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **დიდ-ძალ იარაღის აღმოჩენა.** 8 ივლისს, საღამოს 6 საათზე, პუშკინის „პასაჟის“ თავზე, ტფ. საკრედიტო საზოგადოების სახლის სახურავ ქვეშ აფეთქების ხმა მოისმა. პოლიციამ მაშინვე გასინჯა სახლის სახურავი და აღმოაჩინა იქ ყუმბარები, რევოლვერები და სხვა იარაღები. ნახეს 23 დინამიტის პატრონა ყუმბარებისათვის; ორი ყუთი, რომლებშიაც აღმოჩნდა 508 პატრონა სხვა და სხვა სისტემის რევოლვერისა. 24 პატრონა სამ ხაზიან თოფისა, 6 გამირი რევოლვერისა, საწონი თოფის წამლისა, 6 პატარა ტომარა თოფის უკომლო წამლით სავსე (თითო ტომარაში თითო გირვანქაზე, ერთი ტომარა საფანტი, ერთი შუშის ბანკა წამლით სავსე, მაუზერის პატრონის 5 საწყობი, 2 ყუთი შრიფტი, წონით 2 ფუთამდე, ერთი რევოლვერი ბერხარდისა, ერთი რევოლვერი მაუზერისა, სამხაზიანი თოფი, ორი ტყვიის ჩამომსასხმელი მანქანა, წონით 2 ფუთი, 2 გირვანქა ლურსმანი, ორი ფურცელი ქესტისა ყუმბარების კეთების დროს სახმარებელი, 8 ბლანკი ზედ იარაღის ტარების ნებართვის მოწმობის დასაწერად ტფ. გუბერნატორის ბეჭდითა და გენ.-გუბერნატორის შტემპელით, 3 მოწმობა იარაღის შეძენის ნებართვისათვის: ერთი ამ მოწმობისა ტფ. გუბერნატორისა (1374 №-ით) 5 რევოლვერისა და 500 პატრონის შესაძენად და ორი მოწმობა ყარსის სამხედრო გუბერნ-ტორისა ათი თოფის შესაძენად, და სხვა და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდი. ამ საქმის გამო დააპატიმრეს 4 კაცი, რომელთა გვარები ჯერ ვერ გავიგეთ. ჩხრეკავენ საკრედიტო და მეზობელ სახლებს. დაწვრილებით შემდეგ დავბეჭდავთ.

✦ **დამტკიცება.** ნამესტნიკმა დაამტკიცა თანამდებობაზე ამას წინად არჩეულნი ტფ. გუბერნიის მაზრის მარშლები, მათი თანაშემწენი, დეპუტატები და მდივანი სადეპუტატო საკრებულოსი.

✦ **გამართლება.** ბორჯომის მამულის გამგის გეტცის მოკვლის გამო სამართალში მიცემული იოსებ ახობაძე და ივანე ხმალაძე სამხედრო სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა.

✦ **სახალხო წარმოდგენების შეჩერების გამო.** ამ ბოლო დროს საშინელი სიცხეები დაიჭირა ქალაქში. ამის გამო რუსულმა, ქართულმა და სომხურმა სექციებმა დაადგინეს, ენკენისთვემდე შესწყვიტონ წარმოდგენების მართვა. ქალაქის გამგეობამ არ შეიწყნარა ეს დადგენილება—ვიდრე თეატრში ხალხი დადის, წარმოდგენების შეჩერება არ შეიძლებაო.

✦ **კანდიდატები ტრამვაის დირექტორის თანამდებობაზე.** როგორც „ზაკ“-ს გაუგია, კანდიდატებად ტფ. ტრამვაის დირექტორის თანამდებობაზე ასახელებენ სურენიანს, ი. [illegible] ს. ბაზოვს.

✦ **[illegible]** [illegible] დით, ტფ. ხელოსნების თავად არჩეულ იქმნა სერობიანცი. რამდენიმე რწმუნებულმა ეს არჩევანი გასაჩივრა გუბერნატორთან. ამ რწმუნებულთა აზრით, არჩევნების დროს უკანონობა მოხდა.

✦ **სემინარიის შენობა.** როგორც ვწერდით, პუშკინის ქუჩაზე შენობა ერთი თვეა გაანთავისუფლეს და სემინარია ვაკეზე გადაიტანეს. ჯერ არავინა სჩანს მოიჯარადრე ან მყიდველი. ამ დღეებში ქალაქის გამგეობის მდივანმა სტ. დანდუროვმა და სხვა პირებმა ქალაქის გამგეობას ლაპარაკი ჩამოუგდეს საქართველოს ეკკლესიის ამ ძვირფას მამულის შეძენის შესახებ ქალაქის სამმართველოს საჭიროებათათვის. ქალაქის გამგეობამ უარ-ჰყო ეს წინადადება უფულობისა გამო.

✦ **თათბირი ერობის შესახებ.** სამშაბათს, 14 ივლისს, ტფ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით დაიწყება თათბირი ერობის შესახებ. მონაწილეობას მიიღებენო: თავად-აზნაურობის, ქალაქის და სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. კრება დაიყოფა სექციებად და შეუდგება ერობის შესახებ მასალის შეკრების და შემუშავებას. პრესის წარმომადგენლებს თათბირზე დასწრების უფლება მიეცემათ.

✦ **ცოფიანი ძაღლი.** 8 ივლისს, დილის 8 საათზედ, ივანე ლენჩევსკის ცოფიანი ძაღლი ბოსეინის ქუჩაზე მიჰვარდა ბავშვს ვასილ ნიკიშევს და დაჰკბინა. ძაღლი გაიქცა და დაჰკბინა ორი ძაღლი და ერთი ხბო. დაკბენილი ნიკიშევი პასტერის სადგურში გაგზავნეს, ხოლო დაკბენილი ხბო და ცოფიანი ძაღლები დახოცეს.

✦ **პურის თესვა ახალ სისტემით.** როგორც ივრის პირიდან გვატყობინებენ, წელს კარგი მოსავალი ყოფილა პურისა მთელ ხეობაში, ვენახები კი ძალიან შეწუხებულა, მაგრამ საშუალო მოსავალი მაინც არის მოსალოდნელი. სოფელ

---

მმართველობამ სრულიად ხელი არ შეუშალა იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ავტონომია კარ-ჩაკეტილობას კი არა, ადგილობრივ ინტერესების დაკმაყოფილებას აღნიშნავს ადგილობრივ მკვიდრთა თვით-მოქმედების საშუალებით“ [12]. „და სწორედ ქართველი მშრომელი ხალხის კლასობრივი ინტერესები მოითხოვს, რომ საქართველოში დამოუკიდებელი დემოკრატიული თვით-მმართველობა იქმნეს დაარსებული. მშრომელ ხალხს სწორედ ამ თვით-მმართველობის ფარგალში შეუძლიან საუკეთესოდ დაიცვას „თავისი ინტერესები და პრაქტიკულად მეტი ბარაქა მისცეს იმ ბრძოლას, რომელსაც კლასობრივი ბრძოლა ეწოდებაო. [13])

ავტონომია საქართველოში საბაჟოების დაწესებას მოასწავებსო. გაზეთი უპასუხებს: „ჩვენს დასელებს ვერ წარმოუდგენიათ ისეთი თვით-მმართველობა, რომელიც საკუთარის საბაჟოს წრით არ იქნება შემოხაზული. ნამდვილი ფაქტები შვეიცარიის, გერმანიის და სხვა ქვეყნების უსაბაჟო თვით-მმართველობათა იმათთვის არ არსებობს და ისინი მუდამ ჟამს გაიძახიან, თვით-მმართველობიანი საქართველო მძიმე საბაჟო გადასახადებით გაუმკლავდება უცხოეთის კაპიტალსაო. ჩვენის შეხედულებით საქართველოს თვით-მმართველობა არა თუ აუცილებლად არ იგულისხმებს საბაჟოს, მომეტებული ნაწილი იმის მიმდევრებისა პირდაპირ აცხადებს, საბაჟოების დაწესება აზრადაც არა გვაქვსო. [14]) აქ გაზეთი ამ საკითხს უფრო ღრმად აკვირდება და განაგრძობს: „ვთქვათ, მართლა საბაჟოს წრეებში ხასვეს თვით-მმართველობითი საქართველო, განა ეს აუცილებლად იმის მომასწავებელია, რომ კაპიტალიზმის ზრდა შეჩერდება? სრულიადაც არა, თუ ფაქტების მიხედვით გავარკვიეთ საქმე და არა ზეპირის ფრაზებით. განა ეხლა რუსეთი და, მაშასადამე, საქართველოც, როგორც იმისი პოლიტიკური ნაწილი, საბაჟოს გალიაში არა ზის, განა საბაჟოებით არ არის გარს-შემორტყმული ყველა ეხლანდელი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომ არსად კაპიტალიზმს ზურგი არ შეუქცევია წვრილ ბურჟუაზიისათვის? და თუ საქართველოს საბაჟო განთავისუფლებს ჩვენს ქვეყანას რუსეთის კაპიტალის ნაწარმოებისაგან და კარს გაუხსნის სხვა სახელმწიფოების კაპიტალს იმიტომ, რომ იქ კაპიტალი უფრო იაფ-ფასიანია და კარგი ღვისების საქონელს ამზადებს—განა ეს საზიანო იქნებაა კაპიტალიზმის განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში? პირიქით, მაშინ უფრო მარდად წაიწევს წინ კაპიტალიზმი და უფრო ადვილად დაამარცხებს წვრილს წარმოებასაო. (იქვე).

ყველა ამ არგუმენტების წამოყენებამ იმ დროში მცირედი გავლენა მაინც იქონია მოპირდაპირეებზე. წინად ისინი გადაჭრით და საბოლოოდ უარ ჰყოფდნენ საქართველოს ავტონომიას. ახლა თითქმის კილოსა სცვლიან და აცხადებენ, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ავტონომიისა ტაქტიკური მოსაზრებით. ბ-ნი ფ. მახარაძე სწერს: „...ჩვენ დღეს ვეწინააღმდეგებით იმ პარტიების მეცადინეობას, რომლებიც ცდილობენ ახლად ეროვნულ ავტონომიის მოპოვებას... ჩვენის ფიქრით, ჯერ კიდევ არ დამდგარა ის დრო, როცა ასეთის ტაქტიკის შეცვლა ჩვენი პარტიისათვის საჭირო იყოსო [15]). „ცნობის ფურცელმაც“ აღნიშნა ეს გარემოება, რომ თურმე სოციალ-დემოკრატებისთვის დადგება ისეთი დრო, როგორც ამ საკითხში ტაქტიკის შეცვლა მისთვის საჭირო იქნება. მაგრამ „მოგზაურს“ ეს შენიშვნა არ ეპაშნიკა და მან შემდეგ ნომერშივე მკვახეთ გამოაცხადა: „ჩვენ ეროვნულ ავტონომიას დღესაც იმ თვალით ვუყურებთ, როგორც წინეთ, რომ მასში ჩვენ წმინდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მისწრაფებას ვხედავთ და სხვა არაფერსო“ [16]).

ერთის სიტყვით, საქმე გაჭიანურდა და თითქმის ხელმეორედ შეფერხდა, შეფერხდა იმიტომ, რომ ავტონომიის აზრი ხალხში არა ვრცელდებოდა. გაბატონებული პარტია ჩვენში სოციალ-დემოკრატია იყო. მის პროპაგანდის წყალობით ხალხმა ბრუდე წარმოდგენა შეიმუშავა ავტონომიის შესახებ და ერთობ მოსმენაც კი არ უნდოდათ ავტონომისტების საბუთებისა. სოციალ-დემოკრატებიც მუდამ ჟამს გაიძახოდნენ: აი ხომ ჰხედავთ, თვითონ ხალხია წინააღმდეგი ავტონომიისა, ხალხს არ უნდა იგი, მაშ რაღას ირჯებით: ტყვილა უბრალოდ. ო. ამაზე უპასუხებდნენ, რომ ხალხი თქვენის დამახინჯებული პროპაგანდის წყალობით არის წინააღმდეგი ავტონომიისა, რომ შეუძლებელია, ხალხმა შეგნებულად თავი მოიკლას და თვით-მმართველობაზე ხელი აიღოსო. სოციალ-დემოკრატიულ მწერლებიც სწორეთ ამ პასუხს ელოდებოდნენ და ამბობდნენ: „ფედერალისტების ლიდერების აზრით არსებობს ორნაირი სოციალური ტიპი: კრიტიკულად მოაზრე პიროვნება, თავისუფალი, ფაქიზი გრძნობებით და სურვილებით გამსჭვალული ადამიანი და დოგმატიზმით გამსჭვალული ბრბო, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გაზეპირებულ ფრაზებს უაზროთ იმეორებს... ჩვენ ფედერალისტებს ვერ წარმოუდგენიათ, სხვა რით აიხსნება პროლეტარიატის წინააღმდეგობა, თუ არა მისი სიბრიყვით და უმეცრებითო. [17])

არა, ბატონებო, ჩვენი ხალხი ბრიყვი და სულელი არა გვგონია, ხალხს ხშირად ძლიერ კარგად ესმის თავისი პირდაპირი და უახლოვესი ინტერესი, მაგრამ, პოლიტიკურ მოუმწიფლობის გამო, რომელიც ფითრდება პოლიტიკურ ბრძოლაში, მას ხშირად და ხშირად აკლია ხოლმე შორს მხედველობა. ავტონომია სულ ახალი ცნება იყო არა თუ ჩვენი ხალხისთვის, არამედ ინტელიგენციის დიდ უმრავლესობისთვისაც. ავტონომიის გაგება ძნელი არ იყო, მაგრამ რაკი ცუდად აუხსნეს, ხალხმაც ცუდად გაიგო იგი.

დიაღ, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ხალხს არ ესმის, რა არის ავტონომია და უგუნურობით კი არ მოსდის ეს, არამედ უსწავლელობით. დემოკრატიული ავტონომია მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის ნაყოფია. ჩვენში ამ ხანაში დენაციონალიზაციის პოლიტიკა მძვინვარებდა. ხალხს არა ჰქონდა სკოლა. არც სამშობლო, არც უცხოეთის ისტორიისა არა იცოდა-რა. დამოუკიდებლობის სურვილი თითქოს დაეხშო. ამას ისიც მიუმატეთ, რომ, გამოფხიზლების ჟამს, მას ეუბნებოდნენ—შორს ავტონომია, ავტონომია ბატონ-ყმობაა, და გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ ხალხმა არ შეიწყნარა ავტონომია. მაგრამ ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ მისი მოქმედება ხშირად იმგვარი იყო, რომ ძლიერ უახლოვდებოდა ავტონომისტურ ხასიათს. ამ მხრივ საყურადღებოა გურიის მოძრაობა.

„ცნობის ფურცლის“ მიერ გურიის მოძრაობის დროს იქ საგანგებოდ გაგზავნილი ბ-ნი სიტყვა სასამართლოების მოწყობის შესახებ გურიაში, სხვათა შორის, ამბობს: „დღეს გურიაში მთავრობის სასამართლო ფაქტიურად გაუქმებულია. დღევანდლამდის სამი სასამართლო მოქმედებდა ოზურგეთის მაზრაში: ლანჩხუთში, ჩოხატაურში და ოზურგეთში. პირველი ორი სასამართლო დღეს არა მოქმედებს, რადგან არავითარი საქმე არა აქვს. არამც თუ ახალი საქმე არ შედის სასამართლოში, ვისაც კი ძველი საქმე ჰქონდა, ყველა გააქვთ უკან. ოზურგეთში კი სრულიად დაკეტილია სასამართლო და იქ აღარ არის უკვე არც მომრიგებელი მოსამართლე და არც მისი თანაშემწე. ყოველი საქმე ირჩევა ხალხისაგან არჩეულ მოსამართლეების მიერ, რომელთაც მიმართავენ თავად-აზნაურნიც კი, რადგან ხალხის სასამართლო უფრო მალე და სამართლიანად არჩევს საქმეს, ვიდრე წინანდელი სასამართლო. ყოველს სოფელს ჰყავს თავისი მოსამართლეები, მაგრამ ყოველ საჩივრის გადასაწყვეტად მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ სამედიატორო სასამართლოს.[17]) როგორც ჰხედავთ, გურიაში ხალხს უტვირთვნია სახელმწიფო ცხოვრების ფრიად დიდ მნიშვნელოვან დარგის ავტონომიურად მოწყობა. ვინც ცოტათი მაინც ჩახედულია მმართველობის მექანიზმში, იმას ეცოდინება, რომ თუ **ცენტრალურ მმართველობის გამგებლობისაგან გამოჰყავით სასამართლო და დამოუკიდებლად მოაწყეთ იგი, აუცილებლივ უნდა გამოჰყოთ აღმასრულებელი და კანონმდებლობითი ფუნქციებიც, რადგან კანონმდებლობა სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო კანონებს სცემს, აღმასრულებელი ძალა კი მათ ცხოვრებაში ანხორციელებს.** თუ კულტურულ ენით ლაპარაკი გსურთ, ეს ასეა და თუ მაინც და მაინც იმას იტყვით, რომ ხალხს არ დაუსახელებია ავტონომია, ეგ ხალხს შეუგნებლობით და უცოდინარობით მოუვიდა, რადგან კალმისა არ იყოს, „ის, რასაც ხალხი პრაქტიკულად თხოულობს, რის განხორციელებაც სწადია მას, ავტონომიის შინაარს შეადგენ, იმის შესრულება მარტო ავტონომიურ მმართველობის შემწეობით შეიძლებაო“.[18]) ეგ სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რომ ავტონომიის მოთხოვნა თავის მოთხოვნათა სიაში ხალხს არ ჩაუწერია. სიტყვა ცდილობს გაამართლოს ხალხი და ამბობს: „ხალხს მეტადაც მიაჩნია კითხვის დაყენება ეროვნების შესახებ: ის ცხოვრობს, ცხოვრობს ეროვნულადო“.[19]) სიტყვას ოპტიმიზს იმ ხანებში წამოეგდავა ბ-ნი სილოვანი: „რა სათქმელია, რომ ეროვნული თვითცნობიერება თავისთავად იგულისხმებაო?!. თავისთავად უფრო ის იგულისხმება, რომ მშიერ ადამიანს პური უნდა, რომ ღარიბ მცხოვრებთათვის ათასნაირი გადასახადი მეტად სამძიმოა, რომ მათრახები ძნელი მოსათმენიაო“.[20]) ჩვენ კი გვგონია, რომ პოლიტიკურ ბრძოლის დროს თავისთავად არაფერიც არ იგულისხმება, არც მათრახების ინსტიტუტი, არც ეროვნების საჭიროებანი. და ხალხს პასივში უნდა ჩაეწეროს, რომ მან თავის დროშაზე საქართველოს ავტონომიის საქმე არ დააწერა. თუ სოციალ-დემოკრატიის მესვეურნი ცოტათი მაინც იგრძნობენ თავიანთ დანაშაულობას და პასუხის მგებლობას ამ საქმეში, ავტონომიის საკითხი ჩვენს ქვეყანაში ახალ პოზიციებს შეიძენს. და ამისი ნიშნები უკვე თვალსაჩინოა. ხოლო სანამ ამ საგანს შევეხებოდეთ, საჭიროა გავიხსენოთ ის, თუ როგორ მიეგებნენ ავტონომიის საკითხს სხვა წოდებანი და კლასები და როგორ იკიდებდა ნიადაგს ავტონომიური იდეა ქართველ საზოგადოების ფართო წრეებში.

**არჩილ ჯორჯაძე.**

---

[12]) „ცნ. ფურცელი“, N 2802.

[13]) „ეროვნული თვით-მმართველობა“, გვ. 39.

[14]) „ცნ. ფურცელი“ N 2890.

[15]) „მოგზაური“ N 39.

[16]) „მოგზაური“, N 40.

[17]) iliod. N 37.

[17]) „ცნობის ფურცელი“, N 2767.

[18]) „ეროვნული თვითმმართველობა“, გვ. 36.

[19]) „ცნობის ფურცელი“. N 2759.

[20]) ibid. 2773.

საგარეჯოში ბ-ნ ი. ს. ჯაბადარს სამ გვარად დაუთესია პური. ერთი ნაჭერი ადგილის ჩვენებურ წესზე დაუმუშავებია, ხოლო ორი ნაჭერი ჩინურ სისტემით. ჩვენებურ სისტემით ერთს ფუთს თესლს მოუტანია 10 ფუთი პურის ხორბალი. ჩინურ სისტემას დიდი ნაყოფი გამოუღია. ერთი ნაჭერი აუჩიჩქნიათ (აჩიჩქნა ამ გვარად ხდება: ნათეს კვლებში გააყოლებენ სამუშაო იარაღს, რომ აყრილი მიწა პურს ძირში მიეყაროს). ამ გვარად დამუშავებულ ყანის პურს ერთ გირვანქა სათესლე ხორბალს მიუცია 40 გირვანქა ხორბლისა, სიმაღლე პურს ორი არშინი აქვს და უხვად იძლევა აგრეთვე საქონლის საკვებ მასალას ბზეს და ჩალას. მესამე ნაჭერი მიწისა ჩინურისავე სისტემით ყოფილა დამუშავებული. ეს ნაჭერი ერთხელ გაუმარგლავთ. ამ გვარ დამუშავებას კიდევ უფრო გაუხარებია ყანა და, როგორც მნახველები ამბობენ, გირვანქა თესლზე ორი ფუთი ხორბალი მოვა თურმე.

✦ **ტანისამოსის ფერი.** ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში სასტიკი განკარგულება მოახდინეს, მოხელეებმა აკრძალულ ფერის კიტელები არ ატარონ. ბევრმა თავის მცირე ჯამაგირით ძლივს შეიკერა ტანისამოსი და ეხლა უნდა გადააგდოს.

✦ **სეირნობა.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა გამართოს ბორჯომსა და მანგლისში სახალხო სეირნობები უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

✦ **აკაკის წასვლა პარიზში.** მგოსანი აკაკი წერეთელი რამდენიმე თვით პარიზს წავიდა.

✦ **ვლ. ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო.** გუშინ მივიღეთ კიდევ შემდეგი დეპეშები: ოდესიდან: „მხოლოდ დღეს გავიგე ძვირფას მეგობრის ვლადიმერის გარდაცვალების ამბავი. სიტყვით არ გამოითქმის უზომო მწუხარება, რომელსაც ვგრძნობ ამ თავზარ დამცემ ამბის გაგონებაზე. მასთან ერთად ვასაფლავებ ახალგაზრდობის საუკეთესო მოგონებას. რომ ღრმა მწუხარებას აორკეცებს ის გარემოება, რომ ძვირფას ადამიანის დასაფლავებას ვერ დავესწარი. ნიკო თავდგირიძე“. ყვირილიდან: „გულწრფელად ვწუხვარ ძვირფას ამხანაგის, მშვენიერის ადამიანის და საზოგადო მოღვაწის ვლადიმირ ლორთქიფანიძის დაკარგვის გამო. ვუცხადებ თანაგრძნობას მის ოჯახსა და ამხანაგთ. მიხ. ქორიძე“.

✦ **საათის მოპარვა ფოსტაში.** 7 ივნისს ღამე საფოსტო განყოფილებაში დაკვეთილ წერილების გაცემის დროს ქურდებს ჩამოუღიათ დიდი კედლის საათი და გაუპარებიათ. საზოგადოდ ქურდები ძალიან შეეჩვივნენ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას. მოპარულ საათის ნაცვლად ერთმა ფოსტალიონმა ახალი უნდა იყიდოს—რატომ თვალი არ ადევნე და ქურდი არ დაიჭირეო.

✦ 8 ივლისს, $3^1/_2$ საათზე, ტფილისის მოქალაქის მეუღლემ ბარბალე ბაშაევისამ თავი მოიწამლა შერემეტიევის ქუჩაზე საკუთარ ბინაზე. თავის მოკვლის მიზეზი უიმედო სიყვარული ყოფილა.

---

**შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის მე-147 ნომერში (5 ივლისი) დაიბეჭდა წერილი რედაქციის მიმართ (პასუხად თავად ნიჟარაძეს). ავტორი ამ წერილისა თანხმობას აცხადებს, გაჰყვეს სამედიატორო სამართალში თავ. ივანე ნიჟარაძეს: სამწუხაროდ, თვით ავტორის გვარი და სახელი შეცდომით გამოტოვებულა. წერილი ეკუთვნის ბ-ნ დიმიტრი გიგინეიშვილს.

# ერობის შესახებ

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ არჩეულმა კომისიამ 8 ივლისის სხდომაზე განიხილა კავკასიის ნამესტნიკის უკანასკნელი ცირკულიარი ერობის შემოღების შესახებ და შეიმუშავა პროგრამა იმ საკითხებისა, რომელნიც შემუშავებულ უნდა იქმნან მომავალ შემოდგომისათვის, როცა გაიმართება საგუბერნიო ბჭობა ერობის რეფორმების შესახებ. დღეს ეს პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება საზოგადო კრებას, რის შემდეგ კომისია შეუდგება მასალის შეგროვებასა და მოხსენებათა დამზადებას.

იმავე საგანზე გუშინწინვე სხდომა ჰქონდა თავად-აზნაურობის კომისიასაც, სადაც კამათი იყო ერობის ზოგიერთ საყურადღებო მხარეზე: საარჩევნო ცენზის, საერობო ერთეულების და სხვათა შესახებ.

15 და 16 ივლისს საწინასწარო შეერთებული კრება ექნებათ, ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით, ადმინისტრაციის წარმომადგენელთ, თავად-აზნაურობის, ქალაქის, კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების, საექიმო და იურიდიულ საზოგადოებათა კომისიებს პროგრამის გამოსარკვევად და ურთი-ერთ შორის მუშაობის გასანაწილებლად. ამის შემდეგ თათბირი ერობის შესახებ გადაიდება შემოდგომამდე.

შემოდგომაზე, დაახლოვებით ენკენისთვეში, მოხდება ტფილისს ამიერ-კავკასიის ქალაქის თავების კრება, სამაზრო ქალაქებში გლეხობის წარმომადგენელთა კრებები და ბოლოს ტფილისში გაიმართება საზოგადო საგუბერნიო ბჭობა საერობო დებულების პროექტის შესამუშავებლად. პროექტი მზად უნდა იქმნეს დეკემბრამდე და იანვრამდე მინისტრთა საბჭოს უნდა წარუდგინოს. თუ მინისტრთა საბჭო პროექტს მოიწონებს, იგი მომავალ წლის სესიაზევე წარედგინება სახ. სათათბიროს; წინააღმდეგ შემთხვევაში უკანვე დაუბრუნდება გადასაკეთებლად კავკასიის ნამესტნიკს იმ ანგარიშით, რომ პროექტი უეჭველად შეკეთდეს დროზე და მეორე სესიაში მაინც წარუდგინოს სახელმწიფო სათათბიროს.

# მოწერილი ამბები

**რაჭა.** წლევანდელი წელიწადი გაუსაფერი ხელ საყრელი იქნება რაჭველებისათვის. მარტის პირველ კვირაში მზიანი დღეები დაიჭირა. სავსებით გათბა ჰაერი, თბილმა ამინდმა გამოიტანა ხეხილი, შემდეგ დადგა სუსხიანი დღეები, დაიწყო თოვა თანაც დაიჭირა ძლიერი ყინვები. მოისპო ყოველი ხეხილი, აღარ შერჩა ნაყოფი. როგორც კი გაყინულ ყვავილს მზემ დაჰკრა, გაშავდა. გლეხები შეხვედრის დროს ერთმანეთს შესჩიოდნენ, ნეტავ ვენახებს არ მოსწვავდეს, თორემ ხეირი ვინა ჩივისო. გავიდა ორი სამი-დღე, ვენახს კვირტები საშინლად ჩაუშავდა აქა-იქა შერჩა ვაზზე მოუწვავი ორი ან სამი კვირტი. ნაადრევ-მევზე დაიჭირა სასტიკი გვალვა. გვალვა იმ დროს დაიჭირა, როდესაც რაჭაში დროა ხვნა თესვისა. ნაგვალვალევი მიწის მოძვრა ყოვლად შეუძლებელი შეიქნა. გულ-ხელ დაკრებილი მუშა შესჩერებოდა ცას, აი ეხლა მოვა წვიმა, აი ეხლაო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. როგორც იქნა აქაიქ სოფლებში მოასწრეს პურის დათესვა გვალვამ გასტანა სრული ორი თვე მაისის გასულს მოვიდა წვიმა, გავიდა მუშა მინდვრად სახნავ-სათესად. დაითესა სიმინდები, მაგრამ ასე გვიან დათესილ სიმინდების მოსვლას რაჭველი არ ელის. ხშირად მარტში დათესილ ჭირნახულს ასწრებს და აფუჭებს როველი. წელს სათოხარ სიმინდებსაც ვერ დაუდგა კარგი ამინდი, დაიჭირა სიცივეები და ნაგვიანევი სიმინდები სულ ერთიან გაყვითლდა, გარდა ჭალა ადგილებისა. ასე რომ რაჭას გაჭირვება მოელის. საზოგადოდ ამ ოთხ ხუთ წელიწადში ერთი წელიწადიც არა ყოფილა მოსავლიანი. რაჭველი დღეს უკიდურესად არის გაჭირვებული. მიდის რაჭველი ქალაქებში, მაგრამ სასტიკი კრიზისის მიზეზით, შინვე ბრუნდება ხელ ცარიელი. ცხოვრება კი თავისას არ იშლის. ხარჯი აუარებელია.

ქვემო რაჭა ნაქები იყო კარგი ღვინის მოსავლით. ს. ხვანჭკარა და ს. ტოლა, სადაც მოჰყავთ სანაქებო ღვინო, ქვემო რაჭაშია ღვინო ბლომადაც მოჰყავდათ. ღვინის ნაღვარით ისტუმრებდა გლეხი ხაზინის გადასახადს, დრამას და უძღვებოდა სხვა ხარჯს. გლეხს აქაც ბედმა უმტყუნა ამ ოთხიხუთი წლის წინად დაიწყო ვენახებმა გადახმობა და ქვემო რაჭის მრავალ სოფელში დღეს ვენახი სულ გადამხმარია. მოისპო რაჭველს ღვინო, ეს ერთად-ერთი სადარი ფულის მოხერხებისა. ამ ჟამად ღვინო გატანის მაგიერ ბლომად გადმოაქვთ ჩალანდრებს იმერეთიდან. ეს ღვინოც მოწამლული და გაფუჭებულია თურმე თუთუნის წვენს და სახარენი ურევენ ღვინოში.

ქვემო რაჭაში სოფ. ბუგეულს სექტემბერში ყოველ 3 რიცხს იწყებოდა ბაზრობა და გრძელდებოდა ერთ კვირას. სადაც ბაზრობა იმართება ის ადგილები ეკუთვნის მემამულე წულუკიძეებს და ყიფიანებს. 1905 წლიდან ბუგეულში ბაზრობა აღარ გაუმართავთ. წასულ წელს გავრცელდა ხმა ბუგეულში ბაზრობა კვლავ იმართებაო. დაიდგა მრავალი სავაჭრო კარავი, მოვიდნენ ქუთაისიდან ვაჭრები და დააწყეს საქონელი. ვაჭრები მთელი დღე ისხდნენ უსაქმოდ და ბუზებს ჰკლაპავდნენ. ასე გასტანა ერთ კვირას, ეგონათ, აი დღეს დაიწყება ვაჭრობა, აი ხვალაო. გათავდა ბაზრობა. თავ. წულუკიძეებისა და და ყიფიანების მოურავებმა დაიარეს სტრაჟნიკებით და მოაგროვეს მიწის იჯარა. მიწის იჯარად დაუწესებიათ საჟენზე ერთი მანეთი, რაიცა დიდად სამძიმოა ყოველი ვაჭრისათვის. ზოგიერთ ვაჭარს არცკი ევაჭრა იმდენი, რამდენიც მოურავებმა მოითხოვეს. ზოგიერთი ვაჭარი იძულებული კახდა, ნივთები დაეგირავებინა და იჯარა გადაეხდევინა. დაიშალა ბაზრობა ვაჭრები უმადურნი წავიდნენ თუ სურთ ადგილის პატრონთ ბუგეულში ბაზრობა, არ მოისპოს, ვურჩევთ საჟენ მიწაში ათ შაურს მეტს ნუ აიღებენ, თორემ ბაზრობა სულ მოისპობა და მათაც დიდი ზარალი მოუვათ. **რაჭველი ჭურღული.**

# ოსმალეთის ამბები

**საუბარი შევკეთ-ფაშასთან.**

„რ. სლოვო“-ს კორესპონდენტს უნახავს გენერალისიმუსი მახმუდ-შევკეთ ფაშა და უსაუბრნია მასთან ბერძენთა, ბოლგართა და ოსმალოთა შორის განწყობილობაზე.

კორესპონდენტი სწერს: „გენერალისიმუსმა, რომელიც მუდამ დიდის ხალისით მიიღებს ხოლმე პრესის წარმომადგენლებს, ეხლაც მეტად ზრდილობიანად მიმიღო თავის სამუშაო კაბინეტში. გენერალისიმუსმა ხაზ-გასმით სთქვა, რომ მდგომარეობა ოსმალეთის პროვინციებში სულაც არაა ისეთი საშიში, როგორც ყვირიანო და მერე შემდეგი აზრი გამოსთქვა ბოლგარებზე:

— ბოლგარები მუდამ გულწრფელი, ლოიალური და მშვენიერი პატრიოტები იყვნენ. ჩვენ სრულიად ვენდობით მათ. ისინი სულით გულით მიემხრნენ ჩვენს ახალ წესწყობილებას. თუ აქ იყავით კონტრრევოლიუციის დათრგუნვის დროს, ნახავდით თავისუფალ მეომარ ბოლგარებს, რომლებიც მეტის მეტად საქებურად მოქმედებდნენ.

— ბოლგარები მაინც ჩივიან, რომ მათ უსამართლოდ მოექცნენ ოსმალები საეკლესიო და სასკოლო საქმეებშიო.

— დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ ყველა ერს სამართლიანად მოვექცევით, ყველას უფლება დაკმაყოფილებული იქნება, მაგრამ ყველამ მოთმინება უნდა იქონიოს, რადგან შეუძლებელია სადავო და სერიოზულ საქმეებების 24 საათში გადაწყვეტა. მე მშვენივრად მაქვს შესწავლილი მაკედონია, რომლის ინსპექტორადაც ვიყავ წინად. ამიტომ მე კარგად ვიცი, როგორ უნდა მოვიქცეთ ბერძნებსა და სხვა ერებს, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, მათ ხელმძღვანელებს.

აქ არას ვიტყვი სასკოლო და სარწმუნოებრივ საკითხებზე. მე არავისგან არა მაქვს მონდობილი მაგ საგნებზე ვილაპარაკო, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ეს საქმეები ყველას სასიამოვნოდ იქნება გადაწყვეტილი, როდესაც მათ შესახებ კანონი გამოიცემა. საუბედუროდ, ეს საკითხები მხოლოდ განხეთქილებას ჰბადებენ მაკედონიის ხალხში. ყოველ შემთხვევაში უნდა იცოდეთ, რომ ბოლგარებს არ დასჭირდებათ ბერძნებთან შეერთება თავიანთ უფლების დასაცველად.

მე ვარ მომხრე ბოლგარიასთან დაახლოვებისა, რადგან ჩვენ და ბოლგარიას საერთო ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები გვაქვს. ამიტომ მგონია, რომ ბოლგარია-ოსმალეთის შეთანხმება სასარგებლო იქნება ორსავ ქვეყნისთვის და ამასთანავე მკვიდრი.

— მართალია, ვითომ ოსმალეთი გერმანიასთან და მაშასადამე სამთა კავშირთან დაახლოვებას აპირებს?

— ეგ სრული სიცრუეა. ჩემი საკუთარი აზრი ასეთია: მე მსურს, რომ ოსმალეთი ნეიტრალი იყოს და არც ერთ სახელმწიფოსთან დაახლოვებას არ ეძებდეს. ჩვენ ინსტრუქტორებად მოვიწვიეთ რამდენიმე გერმანული აფიცერი, რადგან ჩვენი აფიცრების უმეტესობას განათლება მიუღია გერმანიაში და კარგად იქვს შესწავლილი გერმანული ენა.

მე ვიცი, რომ ჩვენით ყველაზე მეტად უკმაყოფილონი არიან ფრანგები. ერთს ფრანგულს გაზეთში შემდეგი საყურადღებო სტრიქონები წავიკითხე: „ოსმალეთი ფულს ჩვენგან სესხულობს, ხეირიან საქმეებს კი გერმანიას აძლევსო“. ეს ტყუილია. ჩვენ ერთნაირად ვუცქერით საფრანგეთს, ინგლისს და გერმანიას. ამ ჟამად ჩვენ ხელი ავიღეთ აბდულ-ჰამიდის პოლიტიკაზე და რუსეთსაც კარგის თვალით ვუყურებთ. ამას წინად ჩვენ შევუკვეთეთ საფრანგეთს ჯარის ტანისამოსი 23 მილიონ ფრანკისა. ეხლა ჩვენ მხოლოდ ხეირიან პირობას ვუყურებთ და ყველას თანაბრად ვაძლევთ საქმეებს.

ვიმეორებ, ოსმალეთს ჰსურს ყველა სახელმწიფოსთან კარგი დამოკიდებულება იქონიოს; ჩემის აზრით, მას ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რომ იგი არავის გავლენას არ უნდა ემორჩილებოდეს. ერთს რომ დაუმეგობრდე, უთუოდ მეორეს უნდა გადაეკიდო, ხოლო ოსმალეთს ამ ჟამად სჭირია მოსვენება შინაგან რეფორმების განსახორციელებლად.

# რუსეთი

✦ **რეინბოტის თხოვნა.** მოსკოვის ყოფილ გრადონაჩალნიკს „ცნობილ“ გენერალ რეინბოტს ხელმწიფე-იმპერატორისთვის თხოვნა მიუცია. რეინბოტი შუამდგომლობს, რომ მისი საქმე ჩქარა გაირჩეს.

✦ **ბერის მოკვლა.** რუსეთის გაზეთების სიტყვით კუნძულ სვეტლისზე მოუკლავთ ბერი ნიკანორი. საქმე ამნაირად ყოფილა. ბერს ჰყვარებია ერთი ქალი. ნიკანორი ქალთან მისულა. ქალთან ამ დროს მისი მეორე საყვარელი ყოფილა, რომელსაც ბერი იქვე მოუკლავს.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ოდესაში 5, ეკატერინოსლავში 4, კიევში 4, სევასტოპოლში 1. პეტერბურგში 2, ხარკოვში 1, ვარშავაში 2, რიგაში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ეკატერინოსლავში 4, ვლადივოსტოკში 1, ხარკოვში 2, უფაში 1, მოგილევში 1, მოსკოვში 2 კაცი.

✦ **საგენერალ-გუბერნატოროების გაუქმება.** „ზემშჩინის“ სიტყვით, ამ მოკლე ხანში გააუქმებენ სტეპნოი და ვილნოს საგენერალ-გუბერნატოროებს.

✦ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“.** „რუსკ. ვედ.“-ში ვკითხულობთ: „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრები ამ უკანასკნელ დროს ძალიან დაღონებულნი არიან. მთავარ საბჭოს სადგომში აღარავის უშვებენ. საბჭოს განუწყვეტელი სხდომები აქვს. მთავარ საბჭოს კრებებს მაიკოვი, ბულაცელი, ვასილიევი, დუბროვინი და რამდენიმე სხვა ესწრება. იხილავენ იუსკევიჩ-კრასოვსკის საქმეს. გადაწყვეტილია მის დამცველად თავადი ვოლკონსკი მოიწვიონ. ამას გარდა მთავარმა საბჭომ დაადგინა, დუბროვინი სასამართლოში არ გამოცხადდეს“.

ამავე გაზეთის სიტყვით ნაფიც ვექილ ბულაცელს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ყველა განყოფილებებისათვის წერილები დაუგზავნია. ბულაცელი განყოფილებებს სთხოვს ხელმწიფესთან იშუამდგომლეთ, რომ იუსკევიჩ-კრასოვსკი და პოლოვნევა „რუსეთის ეს საუკეთესო შვილები ფინლიანდიელების ტყვეობიდან გაანთავისუფლოსო. სამართლისა არ ნდა გვეშინოდეს და ხელმწიფეს პირდაპირ უნდა ვუთხრათ, „მეფევ აი შენი გულისათვის და სამშობლოსთვის თავდადებულნი, გაანთავისუფლე“. ბულაცელს იმედი აქვს რუსეთის ხალხისა, რომელიც არავის მოერიდება და მოითხოვს იუსკევიჩ-კრასოვსკის და პოლოვნევის განთავისუფლებას.

# წერილი რედ. მიმართ

გაზ. „ჩვენი აზრის“ მე-47 ნომერში მოთავსებულია ქ-ნ თამარ გოგოლაშვილის **„ღია წერილი „დროების“ რეცენზენტს ბ-ნ №-ს“**, რომელშიაც ქ-ნი გოგოლაშვილი, დამწუხრებული იმ მოსაზრებაზე, **„რომ მე ნამდვილად ავათ ვიყავი და არ შემეძლო მეთამაშნა ისეთ პასუხისმგებლო როლში, როგორიც არის „ქორწიანი ტოროლა“,—ეს ყველამ იცის, იცოდნენ თვით სექციის წევრებმაც, რომელთაც კიდეც გამოაცხადეს საზოგადოების წინაშე: „პიესა თ. გ—ძის ავადმყოფობისა გამო გადაიდვა“**, გაზ. „დროების“ რეცენზენტს ჭორი კანსასა და უსირცხვილო ცილის მწამებელს უწოდებს.

სექციას არა სურდა გაზეთის საშუალებით გამოემჟღავნებინა ეს სამწუხარო ინციდენტი, მაგრამ დღეს, რადგან თვით ქ-ნმა თ. გოგოლაშვილმა საქმე აქამდის მიიყვანა, სექცია მოვალედ რაცხს თავისს თავს სიმართლის აღსადგენად შემდეგი განაცხადოს: მართალია, ჩვენ ხელთა გვქონდა იმის უტყუარი საბუთები, რომ თამარ გოგოლაშვილის უარი თამაშზე ავადმყოფობით არ იყო გამოწვეული, მაგრამ ჩვენ მიზეზად მაინც ავადმყოფობა გამოვაცხადეთ. ცხადია, სექცია ასე უნდა მოქცეულიყო უბრალო თეატრალურ ეთიკის მიხედვით, თუმცა გამოცხადებამდის გაისმოდა ზოგიერთ სცენის-მოყვარის და სექციის წევრთა მედგარი პროტესტის ხმები: „ეთიკა აქ რა შუაშია! მოვითხოვთ, გამოეცხადოს საზოგადოებას წარმოდგენის ჩაშლის ნამდვილი და უტყუარი მიზეზიო.“

**ქართულ წარმოდგენების მმართველი სექცია.**

P. S. ეს წერილი „ჩვ. აზრ.“ რედაქციას ორჯერ დღით გადავეცი, მაგრამ ამ სახით არ დაბეჭდა.

**ქართული სექცია.**

# პასუხად ქ-ნ თამარ გოგოლაშვილს

უეჭველია ზემოდ მოყვანილი ქართულ სექციის წერილი სავსებით დააკმაყოფილებს ქ-ნ თ. გოგოლაშვილის ცნობის-მოყვარეობის შესახებ იმისა, თუ **„რომელ წყაროებიდან შევიტყე ასეთი ჭორი, სადა აქვს ამ ჭორებს თავი“** და ამიტომ აღარ დამჭირდება **„გამოვიჩინო იმდენი მოქალაქობრივი გაბედულობა, რომ დავასახელო ის წყაროები, საიდანაც ასეთი სიყალბე ამოვკრიფე“**, აღარც **„ელემენტარულ ზნეობის მოთხოვნით თ. გ—ლის წინაშე ბოდიშის მოხდა“** დამჭირდება. სამაგიეროდ, არც ქ-ნ გოგოლაშვილს ექნება უფლება ამის შემდეგ **„უსირცხვილო ცილის მწამებელი მიწოდოს“** ამასა ჰქვიან: — сама себя раба бьетъ, коли не чисто жнетъ.

მიუხედავად ამისა, მე მსურს ამ უკანასკნელ წერილში შემდეგი განვმარტო: თ. გ—მა 14 ივნისს ფარდის ახდამდის შვიდი საათით ადრე ავადმყოფობა მოიმიზეზა და „ქორწიან ტოროლას“ როლის თამაშობაზე უარი განაცხადა. ეს საქციელი მე გაკვრით მოვიხსენიე 23 ივნისის რეცენზიაში. მეორე დღესვე ვილაცამ „ჩვ. აზრის“ ქრონიკაში და ბ-მა რ- ა—ძემ, რომელიც ამ საქმეში სრულად გარეშე პირია, „დროებაში“ საგანგებო წერილით ამ ფაქტს **„აქა-იქ გაგონილი ჭორები“** უწოდეს, რადგან მე სიტყვა—ამბობენო, ვიხმარე. სჩანს, რომ დავწერო,—**ამბობენ** „ჩვ. აზრმა“ სექციის წერილი არ დამიბეჭდა, რომ ამ ინციდენტის ლიკვიდაცია ესეც ჭორი იქნება! *) ბატონებო, მე ბ-ნ რ. პროკურორად და მის შემდეგ არა მქონია სურვილი ქ-ნი გ—ლი გამენაწყენებინა და ამიტომ ეს „ოპროვერჟენიები“ უყურადღებოდ დავტოვე, ეტყობა ჩემი დუმილი თ. გოგოლაშვილმა სხვაფრივ გაიგო, გათამამდა და „ჩვ. აზრის“ მე-47 ნომერში ჩემს წინააღმდეგ **ცუდის კილოთი** შეთხზული „ღია წერილი“ მოათავსა. მართალი გითხრათ, მეწყინა. ასეთი კილო არ შეშვენის განსაკუთრებით მანდილოსანს. ჩემი მიზანი იყო ქ-ნ გ—ში მხოლოდ სინანული აღმეძრა და სინდისის მხილება გამომეწვია. სამწუხაროდ, მიზანს ვერ მივაღწიე. პირიქით, „პაუპიტერი გაჯავრდა“ და ცუდის სიტყვებით შემეხო. რა გაეწყობა, ნათქვამია: კეთილისთვის კეთილი ვის უქნიაო“. მე კი მაინც გირჩევთ, რომ კვლავ ამისთანა უხერხულ მდგომარეობაში აღარ ჩავარდეთ, საჭიროა ჯერ საქმის ვითარება კარგად გაიგოთ და „სამკელი“ უარისყოფით ისე გამოხვიდეთ. **№ 1.**

*) საკვირველია „ჩვ. აზრ.“ ეთიკა. მისმა ფაქტიურმა რედაქტორმა ბ-მა რ. ა—ძემ სექციის წერილის დაბეჭდვაზე უარი სთქვა, ხოლო „დროებამ“ ამ საქმეში სრულიად უცხო პირის—რ. ა—ძის წერილი დასტამბა „ჩვ. აზრ.„ მხრივ ეს მიკერძოებაა... N 1.


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა. შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. ზეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—124)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარქოვისა.
(წლ.—6.—85)

**კანტორა და საწყობი „სპერმატინისა“ და „ალმეჩისა“**

გადავიტანე ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.
(30—6.—22) **ი. ახობაძე.**

**◀ სიკვდილი ▶ ბაღლინჯოებს!**

ახალი საშუალება „კლოპოვინი“, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევთ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი. დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი“ ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. რათა სიყალბე არავინ ჩაიდინოს, კლოპოვინი იყიდება მხოლოდ ჩემ მაღაზიაში ტფილისისთვის.
(15—ახ.—5)

**იყიდება სასმელის დუქანი**

თამარის ქუჩაზე (მე-9 ნაწილი), № 19. მოლაპარაკება დუქნის პატრონთან.
(6—331—3)


სტამბა „ხინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.